645
1962/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

1962 წ. № 2
თებერვალი



ა. ს. პუშკინი—მ. მანიზერის ქანდაკება

გარდაცვალების 125 წლისთავის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომით ისევ აღდგენილი
თვალუწვდენი მინდორ-ველი
შენი დიდი სიხარული
და შვენება შეუცვლელი,
შენი ხევი და გორები
შენი მთა და შენი სერი-
იყოს მრავალ, მუდამ მრავალ,
კიდევ მრავალჟამიერი.

გალაკტიონ ტაბიძე

8771

შენ გაგიმარჯოს, ჩემო სამშობლოო,
ჩვენი სიცოცხლე შენი ხარჯია:
შენ გაგიმარჯოს უფრო უმეტეს
ვიდრე ოდესმე გაგიმარჯვია!

მიყვარს მამული, მიყვარს მამული
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული,
რა სიცოცხლეა, რა საამური
მისი მთა-ბარი განახლებული.

ირ. აბაშიძე

საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იაკობაშვილის

**პარტიას მიაჩნია, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში შედის ერთ-ერთი ასეთი ზნეობრივი პრინციპი: — ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის —ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა..**

# ერთმანეთის მხარდამხარ

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გისწავლიათ ქიმია და წარმოდგენა გაქვთ, როგორ მიიღება ჰაერიდან აზოტი, აზოტის ჟანგბადთან შერევით — აზოტის ჟანგეული, ჟანგეულის წყალში გახსნით — აზოტმჟავა, მასში ამონიუმის ანუ აზოტწყალბადის ჩანაცვლებით გვარჯილა, — მაინც ვეება კოშკების, კომპრესორების, დანადგარების, მაცივრების, ავტომატების წინაშე, სადაც 25 საამქრო დღედაღამ გრგვინავს, გაოცება გიპყრობთ, როგორ სასწაულებრივად გარდაიქმნება გაზი, ჰაერი და წყალი მყარ ნივთიერებად — ამონიუმის გვარჯილად, რომლითაც მერე პირთამდე იტვირთება ვაგონები.

ამ მაღალგანვითარებული მანქანების უკან დგანან ადამიანები, რომლებიც შვიდწლედის ვალდებულებას ამ წლის ბოლოსათვის ასრულებენ, ერთმანეთის გვერდით ფიქრსა და შრომაში მიდის დრო, თვითეულ მათგანზე ცხოვრება ავსებს დიდ წარმტაც წიგნს, რომელსაც შინაარსის მიხედვით ასეთი ზედწარწერა შეჰფერის: „ადამიანი ადამიანის მეგობარია".

აი, როგორ დაიწერებოდა ამ წიგნის ერთერთი ფურცელი:

ღამეა, ზამთრის ქარი ზუზუნით ასკდება გოდოლებივით ატყორცნილ კოშკებს, კონვერსიის საამქროში თბილა. მთელ სიგრძეზე მხოლოდ ფარებია ჩარიგებული, აპარატები უჩვენებენ ორთქლის, წნევის, ტემპერატურის, გაზის, წყლის დონის მდგომარეობას გარეთ, ღია ცის ქვეშ დადგმულ კონვენტორებში.

მარადი ხუციშვილი მორიგეობს. ფარის ზემოთ ანთებული მწვანე სინათლეები უჩვენებენ, რომ უზარმაზარ კონვენტორში საგანგაშო არაფერია. ბუნებრივი გაზი და წყალბადის ნარევი ნორმალურ საზღვრებშია და აფეთქებისათვისაც არ არის საშიში.

მარადისთან ცვლის უფროსი ცირა ფორჩხიძე მიმჯდარა, ქალიშვილები ხმადაბლა საუბრობენ გუშინდელ საღამოზე, კულტურის სახლში რომ ჩატარდა კომკავშირელების თათბირით, შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ღამით ავტობუსში, ყმაწვილზე, ამ ყინვებშიც რომ გულგაღეღილი დაიარება და ათას სხვაზე, თან 20-ზე მეტ მოცახცახე ისარს უთვალთვალებენ, ზოგჯერ საჭეს შეაბრუნებენ.

ცვლის უფროსი ახლა სხვა მეაპარატესთან მივა, ჩაუვლის მწვანე სინათლეებისა და ფარების წყებას, ამოწმებს ხომ ყველაფერი რიგზეა.

გამთენიის ბინდბუნდში შინ ბრუნდება ცირა. რუსთაველის ქუჩაზე საერთო საცხოვრებლის მეორე სართულზე არის ერთი ნათელი ოთახი ორი საწოლით, პატარა კარადით, ყვავილებით, მრგვალი მაგიდით, ჟურნალებითა და ბროლის ლარნაკით.

თინა პაქსაშვილი ან მოასწრებს მოსვლას, ან ფეხდაფეხ შემოჰყვება, მერე ქალიშვილები სამუშაო ტანსაცმელს გამოიცვლიან, წაისაუზმებენ და იმ დროს, როცა ქალაქი იღვიძებს, ტკბილ ძილს ეძლევიან. ორი წლის წინათ მათ ერთად დაამთავრეს საქართველოს პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცირა ფორჩხიძე (მარჯვნივ) და თინა პაქსაშვილი

ტექნიკური ინსტიტუტი. წადილი აუსრულდათ, სამუშაოზეც ერთად მოხვდნენ მეგობრები. თინამ არგონის ჯერ კიდევ მოუწყობელ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, ცირა კონვერსიის საამქროში გაანაწილეს მეაპარატედ...

მათ თვალწინ გამსხვილდა ქარხანა, მუშათა რიცხვი თითქმის ერთი ორად გაიზარდა, მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები, აგუგუნდა აგრეგატი № 5, არგონის განყოფილება, ხოლო კოქსის ძნელად დასამუშავებელი აირი ბუნებრივი გაზით შეიცვალა. ყველა ამ სიხარულს მეგობრები მთელ კოლექტივთან ერთად ინაწილებდნენ და კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ქარხნის ზრდას, ოსტატდებოდნენ, ისე რომ ბოლოს ცვლის უფროსებადაც დაწინაურდნენ.

ლამაზად, საინტერესოდ მიდის მათი დღეები, ცხოვრობენ ქარხნის ყოველდღიური ცხოვრებით. აქვთ საკუთარიც, მაგრამ მასზე თითქმის არ ლაპარაკობენ, ფიქრობენ კი ზოგჯერ ღამის გათენებამდე, დროდადრო ღებულობენ ბარათებს, იწერებიან ქუთაისიდან და ხაშურიდან მშობლები, და-ძმები... არაიშვიათად თანაკლასელებიც გაიხსენებენ. ამ შემთხვევაში წერილი იწყება ასე: „სალამი ცირას და თინას“...

ხშირად კარს შემოაღებს მარადი ხუციშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების IV კურსის სტუდენტი, ცირა და თინა სასარგებლო რჩევას არ დაამადლიან საზრიან ქალიშვილს.

საღამოობით კონვერსიის საამქროს ცირასეული ცვლა ქალიშვილების პატარა ოთახში შეგროვდება და მერე მიდიან კინოში, თეატრში, კულტურის სახლში.

ზოგჯერ მშობლები ჩამოდიან შვილების სანახავად, ხდება, უცხო და პატივსაცემი სტუმარიც მოუვა რომელიმეს. ქალიშვილებს შორის შენ-ჩემობა არ არის, ყველაფერი ყოველთვის საერთო აქვთ, მეგობრობაში ანგარიში რა სახსენებელია!

— ინსტიტუტშიც გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ სხვა ყოფილა ერთად მუშაობა, ერთ ოთახში ცხოვრება, — ამბობს ცირა. იგი ხუმრობს, რომ მათი სიყვარულის საგანიც ერთია — ქარხანა, და რადგან საუბარი ეხება ქარხანას, ცვლის უფროსს არ შეუძლია მის მომავალზე არ ილაპარაკოს. იმაზე, რომ მალე ამუშავდება კაპროლაქტამის საამქრო, რომ იგი ნედლეულს მიაწვდის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანას, რომელიც ახლა შენდება. მისი კორპუსების დაუმთავრებელი კედლები კარგად ჩანს ქარხნისაკენ მიმავალი გზიდან.

— მამაჩემი ქიმიის მასწავლებელია ქუთაისის სამთო ტექნიკუმში. აქ რომ ჩამოვიდა, ჩვენი ქარხანა დაათვალიერა, გაეცნო ქიმიის პერსპექტივებს ჩვენს ქალაქში და მითხრა: ახლა მივხვდი, რატომ აღარ მოგიწევს გული ქუთაისისკენო.

აღარ მიუწევს გული ქუთაისისკენ ცირას. რუსთავი — ახალგაზრდა ადამიანების ახალგაზრდა ქალაქი, კომუნისტური შრომის სახელისათვის მებრძოლი ქალაქი, საკვირველი ძალით იზიდავს ახლადკურსდამთავრებულ ქიმიკოსებს. ისინი აქ მოდიან ჯგუფად, ხშირად — 10-55 კაცი, გრძელდება მეგობრობა, უმაღლესი სასწავლებლიდან წამოყოლილი, იბადება ახალი, უფრო ვრცელი, უფრო მრავალმხრივი სიყვარული, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება.

დღე არის თუ ღამე, მწვანე და ცისფერი ავტობუსები მიგრიალებენ ტრიალზე, აზოტოვანი სასუქების ქარხნის წინ წრეს შემოსწერენ. ხიდს გაღმა მარტენი ხრჩოლავს, გამოღმა კი სიგარასავით წაგრძელებული კოპწია მილი აბოლებულა ჟანგისფრად, ლიმონისფრად. ისინი, ერთმანეთის პირისპირ დამდგარნი, საჭიდაო მოედანზე გასულ მოჭიდავეებს ჰგვანან. ადამიანებმა, რომლებიც ავტობუსებით მიმოდიან, კარგად იციან, რომ მათ ეკუთვნით ქალაქის მომავალი.

ეთერ სახვაძე

ცირა ფორჩხიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თეთრი ლაქა

მოთხრობა

ოთარ გოგრონიძე

„ადამიანი ქვაზე მაგარია და ვარდზე
უნაზესი“ (ტაჯიკური თქმა).

— თოლია!... თოლია!... მე ვარ ვარსკვლავი... მე ვარ ვარსკვლავი, მიპასუხე...

ეთერში ტალღები ერთმანეთს ასკდებიან.

— თოლია!.. მე ვარ ვარსკვლავი...

რადისტი ამაოდ ელოდა პასუხს.

ტელეგრაფისტი დეპეშას გადასცემს ქალაქში:

„გეოლოგიური პარტიის ვერტმფრენი, რომელიც სამუშაოს ატარებდა უდაბნო ყარა-ყუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში, არ დაბრუნებულა, კოორდინატები უცნობია, რაიონი „თეთრი ლაქაა“...

* * *

...წინა დღით ისინი ოთხნი იყვნენ, ოთხმა დაალამა უდაბნოს დღე. ღამით ისევ ამოვიდა მთვარე და ვარსკვლავებით მოიჭედა ცა.

ოთხმეზურმა თვალები მოისრისა, მერე სახიდან მოიშორა მტვერი.

— ახმად!..

ახმადი იქვე იწვა ოთხადმოკეცილი, თავი ხელებში ჰქონდა ჩამალული.

— ახმად, დროა...

ახმადი შეიშმუშნა.

ოთხმეზური ქვიშაზე გახოხდა. შეჩერდა — მთვარე უყურებდა ქალის სახეს. ოქროსფრად უფერადებდა თმებს, ბავშვური ღიმილი ეკვროდა ბაგეზე და ისე ეძინა.

„ძილი სავსეა ილუზიებით, — ფიქრობდა ოთხმეზური, — ძილი თავისებური ზღაპარია კოშმარული ან კეთილი სიზმრებით. კეთილი სიზმრები განსაკუთრებით კარგია ახლა, იგი გავიწყებს მძიმე წუთებს, გავიწყებს გადატანილ გაჭირვებას, მოახლოვებულ საფრთხეს, შიშს გიკარგავს და ჩვეულებრივი ცხოვრებით გაცხოვრებს“.

მძინარემ ალბათ მზერა იგრძნო, თვალები გაახილა:

— რა მოხდა? — შემკრთალმა იკითხა.

— მე და ახმადი მივდივართ, ლია...

— მეც წამოვალ! — ქალმა წამოიწია.

— მოიცადე, — ოთხმეზურმა ხელი დაადო მხარზე. ხელს ქალის თრთოლვა გადაედო, გული შეეკუმშა.

— პილოტი... დასუსტებულია.

— მეშინია, ზურაბ...

— ჩვენ აუცილებლად მივალთ დასახლებამდე... სამოცდახუთი კილომეტრი არც თუ ისე ბევრია.

...სამოცდახუთი კილომეტრი. მისი გავლა უდაბნოში არ არის იოლი. ჩვეულებრივად ასეთ მანძილზე მოგზაურობენ აქლემებით, უცხო მოგზაურთ გამყოლები ახლავთ. ყველამ იცოდა: ეს სამოცდახუთი კილომეტრი იყო ძალიან ძნელი.

ქალის თვალები სიბნელეში მაშველს ეძებდა: შორიახლო ახმადი იდგა, არ იღებდა ხმას, მის წინ ოთხმეზურს ჩაემუხლა. არც ის იღებდა ხმას. ლიამ თვალებით მოძებნა პილოტი, პილოტი ვერტმფრენთან იწვა, ძალიან დიდი და მაინც ჩვილი ბავშვივით უმწეო.

სათქმელი ყველას გამოლეოდა, ან ვის რა უნდა ეთქვა, რომელს რომელი გაემხნევებინა.

— ნახვამდის, ლია... — თქვა ახმადმა.

— ნახვამდის, ახმად!

— ნახვამდის; ჩემო გოგო, — ოთხმეზურმა შუბლზე აკოცა ლიას. ნიკაპით ცხელი ცრემლი გაიყოლა...

ისინი წავიდნენ. ერთხანს მოჩანდა ლანდები, მერე ლანდები შთანთქა სიბნელემ.

* * *

თენდებოდა...

გათენებისას ვარსკვლავები უფერულდებოდნენ, სიკაშკაშეს კარგავდნენ. დილით, უდაბნოში, ცის კიდური ფირუზის ფერი იყო. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ბარხანებს* იქით გადამალული, მალე შემოცურდებოდა ცის ოკეანეში და დაიწყებოდა უდაბნოს დღე: დილით მზე აცხუნებდა ქვიშას, ბარხანებს, მათ შორის პატარა ჩრდილები ჩნდებოდა, ბარხანის თხემებს იისფრად აფერადებდა მზე, შემდეგ ჩრდილები ქრებოდნენ, მიდამო სხვადასხვა ფერებით იფერებოდა, სჭარბობდა უცნაური ფერი, თითქოს მოლურჯო, თითქოს მოყვითალო. ეს ფერი ხაზს უსვამდა უდაბნოს უსიცოცხლობას. ირგვლივ სიკვდილის სუნი ტრიალებდა.

შუადღისას ცხელი ქარი იწყებდა თარეშს, ჰაერში სვეტებად ადიოდა ქვიშა, ტალღები ჩნდებოდა უდაბნოს ზედაპირზე, საღამოთი ქარი ჩადგებოდა და უდაბნო მკვდარ ტალღებიან ზღვას ემსგავსებოდა. ღამით ყინავდა, ქვიშა ცივდებოდა, ცას ვარსკვლავები ავსებდა და სავსე მთვარის შუქი კონტურებში ძერწავდა ბარხანებს.

თენდებოდა...

დაზიანებული ვერტმფრენი ცხვირამდე ჩაფლულიყო ქვიშაში. იგი ანძაჩამომტვრეულ ხომალდს გავდა, ნაპირზე გამოგდებულს. კუდთან დამსკდარი საღებავი ჩამოსცვენოდა, თეთრად პრიალებდა ალუმინი.

ლია უყურებდა ვერტმფრენს, ხან უყურებდა ცას. პილოტს ეძინა.

საერთოდ ლიას უყვარდა ფიქრი. ახლა არ ფიქრობდა, რადგან აზრები მომრავლებულიყო და ერთმანეთს უშლიდა. ცა კი ლურჯი იყო, ზღვასავით უძირო; ცაზე უნდა გამოჩენილიყო მაშველი.

ლიას უყვარდა ოცნება, მაგრამ ახლა არ ოცნებობდა...

ოცნება კარგია, როცა გარშემო სიცოცხლეა, ერთი დღე მეორეს არ გავს, ყოველ ახალს ახალი მოაქვს. აქ არაფერი არ იცვლებოდა: ფირუზის ფერი ცა და ვარვარა მზე, დაბლა ქვიშის ნამცეციც კი არ გადაადგილებულიყო თითქოს.

ლია ელოდა, ელოდა და ითვლიდა დროს.

ლხინში არ ითვლიან დროს. ლხინში წუთადქცეული საათები თითქოს ერთმანეთს ასწრებენ. როცა წუთებს ითვლი, დრო ნელა გადის, წუთები საათებად იქცევა, საათები დღეებად.

ლია ელოდა. ეს ლოდინი არ გავდა სხვა დანარჩენებს, რადგან სიცოცხლის სიყვარული იყო ყველაზე დიდი.

— წყალი...

ლია შეკრთა, ამ სიტყვის ეშინოდა ყველაზე ძალიან. პილოტი ამოძრავებდა დამსკდარ ტუჩებს, იმედით შესცქეროდა მათარას. მათარა იქვე ქვიშაზე ეგდო... წყალი არ იყო. პილოტმა იცოდა, რომ არ იყო წყალი, მაგრამ უკვე მესამე დღეა წყურვილი აწვალებდა.

პილოტი უყურებდა ლიას.

ლიამ შეხედა პილოტს. მას გამხდარ სახეზე კანი ჩაშავებოდა, ცხვირზე და ტუჩებზე იარები მოსდებოდა.

ლია არ უჯერებდა თვალებს...

სამი დღის წინ საქმე ჭაბუკი უჯდა, ის იყო მხიარული და

*) ქვიშის წარმონაქმნები უდაბნოში.



სიტყვამოსწრებული. იმ ჭაბუკს მოსწონდა ლია, ამიტომ ხშირად აპარებდა მისკენ მზერას. ლია მზერას თუ დაუჭერდა, პილოტი ბავშვივით წითლდებოდა. წამოსვლის დღეს პილოტმა გაბედა, ლიას ქათინაური უთხრა:

— შარვალი, მე მგონი, კაბაზე მეტად გიხდებათ...

ლიას არაფერი უთქვამს, წარბი შეიკრა, ძალიან მოინდომა გაბრაზება. პილოტს ხასიათი გაუფუჭდა, აღარ ხუმრობდა. ოთხმეზურმა გაღიზიანება დაუწყო, ახლოს მიუჯდა და ხმამაღლა, ლიას რომ გაეგონა, ისე უთხრა.

— აგეგმვას რომ მოვრჩებით და რუკაზე „თეთრ ლაქას" მოვხსნით, ვერტმფრენით მოვიტაცოთ, მე მაყრად წამოგყვები.

ახმადმა მხარი აუბა.

ლიას გაეცინა ოთხმეზურის ხუმრობაზე და გაახსენდა ის, ყველაზე კარგი. მისი წერილი წამოსვლის დღეს მიიღო:

„...კარგად ვარ... ციმბირში ბევრი საქმეა... ჩვენი პარტია ტაიგაში მუშაობს... ძალიან გაგვიგრძელდა განშორება... მიყვარხარ..."

ტკბილ ბურანში იცვლებოდა ნაცნობი სურათები:

დიდი მეჯლისი ფართო დარბაზში. ისინი ცეკვავდნენ. თხელი კაბა ფრიალებდა. თავბრუ ესხმოდა. ტრიალებდა დარბაზი, ხალხი, დიდი ჭაღი. მერე გრილი საღამო სანაპიროზე. ტოტებგაშლილი ჭადრის ხე, ძლივს განაბედი „მიყვარხარ" და...

— წყალი!

ისევ ქვიშა და ვარვარა მზე. ქვიშაზე ეგდო ამომშრალი და ამოყვითლებული მათარა. ლია მისწვდა მათარას, მოიქნია და ქვიშებში ისროლა.

—არ არის წყალი, ივან!

— წყალი... — ჭირვეულობდა პილოტი, ხელებით ქვიშას ეჭიდებოდა, თვალები ჰქონდა აღგზნებული.

ლია უყურებდა პილოტს, პილოტს უნდოდა წყალი. ირგვლივ არსად არ იყო წყალი, იყო თეთრი ქვიშა, ყვითელი ქვიშა, ძალიან ცხელი, უსიცოცხლო და გამოფიტული ქვიშები.

პილოტი ხელებით ეჭიდებოდა ქვიშას და ასავსავებდა ფეხებს — წყალი!

სასოწარკვეთილმა ქალმა შეხედა ცას ცა იყო ლურჯი და კეთილი, ცაში თვითმფრინავს არ ეშინოდა ქვიშების, არც მზის.

— გესმის?.. ხმა... თვითმფრინავის ხმა!..

პილოტი გაირინდა.

— მაშველი, — თქვა მან და თვალები მილულა.

ეს იყო მოლანდება...

* * *

ჩრდილი პატარავდებოდა ვერტმფრენის წინ. პილოტს სახეზე ეპარებოდა მზე. ლია მიიწევდა პილოტისაკენ და ეფარებოდა მზეს. მზე წვავდა კისერს, ზურგს და მკლავებს, მზე თითქოს კანქვეშ იჭრებოდა და აშრობდა სისხლს. ლიას თავბრუ ესხმოდა, თვალებში აწვებოდა სიბნელე.

— არა! იმედის დაკარგვა სიკვდილს ნიშნავს, აქ სიკვდილი უაზრობაა. უაზრობაა, ისინი მოვლენ, მე ვხედავ მათ.

ეჩვენებოდა ლიას შორს მიმავალი ორი ადამიანი ისინი მძიმედ მიიწევდნენ წინ. ქვიშაში ღრმად ჩაფლული ფეხი არ ემორჩილებოდა დაუძლურებულ სხეულს, სხეული ებრძოდა ურჩ ფეხებს, თავის ნებაზე იყოლიებდა...

მთელი დღის ნახურები ქვიშა თონესავით გაფიცხებული იყო, ალმური ასდიოდა. იკბინებოდა ჩამავალი მზე ისინი მძიმედ სუნთქავდნენ, პირდაღებულებს ენა და პირი გამშრალი ჰქონდათ, მაინც მიდიოდნენ, უკან რჩებოდათ ღრმა ნაკვალევი. წყურვილს, თვალებში მოწოლილ ბინდს, მთელი სხეულის მტკივნეულ დაძაბულობას ყურადღებას არ აქცევდნენ, მიდიოდნენ...

გზადაგზა ეგებებოდათ ქვიშის ერთფეროვანი ტალღები, ქვიშის ყვითელი ფერი იცვლებოდა წითლად ან ნაცრისფრად. უწვრილესი ქვიშა ატანდა ყველგან, ტანისამოსის შიგნით. ფეხსაცმელში, ქვიშა საზიზღრად კრაწუნობდა კბილებსა და კბილებს შუა, ფხაჭნიდა და აღიზიანებდა აგზნებულ კანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმადი ჩამორჩა, ოთხმეზურმა იგრძნო რომ ჩამორჩა ახმადი, შემოტრიალდა. ახმადი პირდაღმა ეგდო ქვიშაში, ოთხმეზური მისკენ წამოვიდა. გადმოდგა ნაბიჯი. ერთი... ორი... ისიც წაიქცა, ლოყა ცხელ ქვიშას მიაკრო...

— ადექით... ადექით... მანდ წოლა სიკვდილია, ჩვენ გელოდებით, ახმადს შველა უნდა. ზურაბ, შენ გამოცდილი ხარ, ამაზე უარესი გინახავს — ტყვია და ცეცხლი, გვამებით მოფენილი მიწა, ადექი... ადექი, რა... — ბუტბუტებდა ლია.

ლიცლიცი მოიშორეს თვალებმა და ლიამ დაინახა:

ოთხმეზური თავისუფლად მოძრაობდა, ვერ გრძნობდა მხრებზე დაწოლილ სიმძიმეს, მიდიოდა წინ.

ბარხანები გაუჩინარდნენ, ქვიშა გასწორდა და ლიამ ჰორიზონტზე სახლების კონტურებიც დაინახა.

ლიას ცრემლები უსველებდა სახეს და იცინოდა.

— ხომ გეუბნებოდი, ივან... ხომ გეუბნებოდი... აღარ იქნება „თეთრი ლაქა" რუკაზე...

პილოტმა პირი დააღო, ენა გამოჭყა გარეთ, ენა მშრალი და თეთრი ჰქონდა. მშრალმა ენამ იარამოდებული ტუჩები გაულიზიანა. სიმწრისაგან დაიგრიხა და განწირული ხმით დაიღრიალა:

— წყალი!

ლია ბურანიდან გამოფხიზლდა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა, თავზე დაადგა.

— არ არის წყალი...

პილოტმა მუჭით ქვიშა ჩაბღუჯა და პირისაკენ გააქანა.

— რას ჩადი! — ლიამ ხელი დაუჭირა.

— გამიშვი!

— გადაყარე ქვიშა!

— გამიშვი მეთქი!

ლიამ პილოტი მიიზიდა. ჩაეხვია, დაუწყო კოცნა. კოცნიდა შუბლზე, ლოყაზე, დამსკდარ ტუჩებში.

— მომწონხარ... მიყვარხარ... შენ კი ვერ მამჩნევ, ივან! არად მაგდებ...

პილოტი გაჩუმდა. გაოგნებული შესცქეროდა ლიას. ლია კოცნიდა, თან ცრემლებით უსველებდა სახეს, პილოტმა იგრძნო: სხეულში სისხლმა დაიწყო მოძრაობა, გაცოცხლდა კუნთები, დაიბერა, გამაგრდა, ძალით აივსო.

ლია ვერაფერს გრძნობდა, თვალებზე ეფარებოდა ბინდი, ყურები უწივოდა, მიწა ირყეოდა, ტრიალებდა.

— ძვირფასო! ძვირფასო! მაპატიე, ძვირფასო, — იძახოდა პილოტი, თან განძრევის ეშინოდა, იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლო, შეძლებით პილოტს ყველაფერი შეეძლო ახლა, ეშინოდა არ შეეწუხებინა მის მკერდზე მიძინებული, დაღლილი ქალი...

* * *

გუგუნებდნენ თვითმფრინავები უდაბნოს თავზე...

# ჟუჟუნა ვარშანიძე ჩქარობს

ის დგება დილის ხუთზე ან ექვსის ნახევარზე და ფერმისკენ მიიჩქარის. ირგვლივ სიწყნარეა, მიდის ჩქარი ნაბიჯებით, არავინ არ აჩერებს. აი, ფერმაც. პირუტყვი გრძნობს პატრონის მიახლოებას; კუდს იქნევს, მსხვილი ლამაზი თვალებით შესცქერის, თითქოს ესალმება. თივისა და სილოსის ნარჩენებს ეძებს, გემრიელად ახრამუნებს, ცური გაუვსია რძით.

ჩქარა, ჩქარა, თორემ...

და ჟუჟუნა ვარშანიძეც ჩქარობს.

ასეა ყოველდღე. ასეა მას შემდეგ, რაც სიმწიფის ატესტატი აიღო და ფერმაში მოვიდა.

ღიმილით შეხვდნენ სახელგანთქმული მწველავები: გული ვარშანიძე და ლუბა კოპინისენკო. ესენი უნდა ჩაიბაროო, — უთხრეს ახალბედა მწველავს. ჟუჟუნამ დაითვალა ძროხები, ათი იყო. ებევრა.

გული მიუხვდა შიშს და გაამხნევა ბიძაშვილი, — ჩვენ აქა ვართო. მერე რჩევა-დარიგებები მისცეს: ყველას თავისებური მიდგომა უნდა, უეცრად არ მიხვიდე, მიეფერე, მარილი მოალოკინე და თანდათან შეგეჩვევიანო; დილით ცური თბილ წყალში დასველებული ჩვრით ჩამოწმინდე, რძე ბოლომდე გამოწველე, რადგან ბოლო ნაწველში ცხიმიანობა ყოველთვის მეტიაო.

ოჯახიდანაც ჰქონდა ჟუჟუნას საკმაო გამოცდილება და ძალიან არ გაძნელებია მუშაობა. ჟუჟუნა ვარშანიძეს პირველი წლის შედეგით არავინ გაუკვირვებია: თვითეულ საფურაჟე ძროხიდან ორ ტონამდე რძეც ვერ მიიღო მაშინ, როცა გული ვარშანიძე და ლუბა კოპინისენკო სამ ტონასაც აჭარბებდნენ.

ჟუჟუნა თვითონაც მიხვდა, რომ ეს იყო ძალიან ცოტა; მით უმეტეს, დაიწყო დიადი შვიდწლედი და საბჭოთა ხალხის წინაშე დაისახა გრანდიოზული გეგმები.

ჟუჟუნა ვარშანიძე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება უკრაინის რესპუბლიკის ბელოზერსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტ ილიჩას" მწველავ ზინაიდა შპაკთან. მეგობრობა დაამყარა ახალქალაქელ მწველავ ემა კუმჩიანთანაც...

ჟუჟუნა გაეცნო ზინაიდა შპაკისა და ემა კუმჩიანის მუშაობას და დაიწყო გული ვარშანიძის, მეხფულე ბალაძის, ლუბა კოპინისენკოსა თუ სხვა გამოცდილ მწველავთა მეთოდების შესწავლაც...

უჩვეულოს არაფერს აკეთებდნენ ეს სახელოვანი მწველავები; ისინი ამბობდნენ, რძე ძროხის ენაზეა დამოკიდებულიო. ეს იმას ნიშნავს, რომ ძროხა კარგად უნდა კვებო. ჟუჟუნაც ამაზე ამახვილებს ყურადღებას...

ჟუჟუნა ვარშანიძეს ჰყავს ერთი ძროხა, რომელსაც „განიას" ეძახის. „განია" მშვენივრად იწველიდა, მაგრამ მშობიარობის შემდეგ ცუდად გახდა. არაფერს არ ჭამდა, არ სვამდა, დასუსტდა, რძესაც ცოტას იძლეოდა. ჟუჟუნამ ყანებში გამოუჭრა ლორთქო, რძიანი ბალახი და მიართვა „ავადმყოფს." „განიამ" ჯერ ხანტად წაულამუნა ენა, მერე ერთბაშად გამოცოცხლდა და მადიანად შეექცა. გაუბრწყინდა ქალიშვილს დიდი შავი თვალები.

ასე გაგრძელდა ერთხანს. „განია" გასუქდა, ცური დაიმსხვილა. სხვებმაც „დაუფასეს" ამაგი, თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა სამ ტონამდე გაიზარდა.

ეს იყო მიზნის მიღწევა — ამ ძროხებიდან ადრე ასეთი რაოდენობის რძე არავის მიუღია. ჟუჟუნამ ვალდებულება გაზარდა — შვიდწლედის მესამე წელს 31 ტონა რძე უნდა მივცე სამშობლოსო.

ჟუჟუნა ვარშანიძე, რასაკვირველია, ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევს, რომ ურეხის კოლმეურნეობის ფერმაში არ იყოს შექმნილი მუშაობის ყოველგვარი პირობა: ფერმა ძირითადად მექანიზებულია და, რაც მთავარია, საკმარისი აქვთ საკვები.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ განაპირობა ის, რომ წინათ კილოგრამი რძის წარმოება უჯდებოდათ ოთხი თუ ხუთი მანეთი, დღეს კი ეს თანხა თითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მანეთამდე შემცირდა. ამ საქმეში ცოტა წვლილი ქუქუნას მამასაც მიუძღვის — ხულუსი ხომ პირუტყვის საკვების მომარაგებისათვის ბევრს ზრუნავს...

ქუქუნას დაუფასდა შრომისადმი სიყვარული და გულმოდგინება. ერთი წლის მოსული იყო ფერმაში და პარტიაში მიიღეს. მერე აირჩიეს კოლმეურნეობის გამგეობის წევრად, პარტბიუროს წევრად, სოფელ ურეხის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარედ, კომკავშირის ბათუმის რაიკომის წევრად, პარტიის ბათუმის რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრად, აჭარის ქალთა კომიტეტის წევრად, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, შემდეგ კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნობა რომ შესთავაზეს, თანხმობა ადვილად ვერ თქვა. თითქმის 150 კომკავშირელის ხელმძღვანელობა ხუმრობა საქმე არ იყო. მაგრამ ვინ მოუსმინა? მერე, უფრო დაუახლოვდა ახალგაზრდებს, კომკავშირულ-ახალგაზრდული ფერმა და კომუნისტური შრომის საპატიო სახელისათვის მებრძოლი მებოსტნეობის რგოლი შექმნა... და მოხდა ის, რომ ურეხელმა კომკავშირელებმა შვიდწლედის მესამე წელს 120 ტონა ბოსტნეული მიიღეს ჰექტარზე, 190 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ათობით ტონა რძე ჩამოწველეს.

...ამ დილითაც ფერმისკენ მიიჩქარის ქუქუნა ვარშანიძე. ირგვლივ სიწყნარეა. მიდის ჩქარი ნაბიჯებით და აგერ, გოგონები ეწევიან:

— მოიცა, სად გარბიხარ, ახალი ამბები გვიამბე, რა ნახე, გვიამბე!..

ქუქუნა მაინც ჩქარობს. ყოველი წუთი ძვირფასია, ყოველი წუთი განსაზღვრულია. ერთ დილას სულზე მიუსწრო „მთვარიას" და მძიმე მშობიარობას გადაარჩინა. ახლაც იქნებ ძალზე საჩქარო საქმეა რამე!

გოგოები კი დაიცდიან. მათ თავისუფალ დროს ეტყვის ქუქუნა მოსკოვზე, ყრილობაზე, თუ როგორ გაიცნო მოწინავე მეღორე იაროსლავ ჩიჟი; კიევის ოლქის ერთერთი კოლმეურნეობის ყოფილი მწველავი, ამჟამად ფერმის გამგე ანა ვერდი; ცნობილი მესიმინდე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი დოლინიუკი. როგორ აჩუქეს იური გაგარინმა და გერმანე ტიტოვმა თავიანთი წიგნები: „გზა კოსმოსისაკენ" და „700.000 კილომეტრი კოსმოსში".

ქუქუნა ვარშანიძე უბრალო აჭარელი ქალიშვილია. ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობაში მწველავად მუშაობს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა.

ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის დაუცხრომელი შრომა — ასეთია დღეს ქუქუნას მიზანი.

რ. ჩაჩუა



ფოტო ავტორის

# მექურები გორის რაიონიდან

## სანამ პირადად ვნახავდი

მითხრეს, რომ ის მხოლოდ ოცდაერთი წლისაა. თუ რაიმეს დაწერას აპირებთ, კარგი იყო გენახათ, როგორ მუშაობს. ახლა ზამთარია... საქმეც იმაშია, რომ ვერ ნახავთ, როგორ მუშაობს მეჭარხლე ეთერ მჭედლიშვილი. მარტო ციფრებს უნდა ენდოთ...

და მეც ვენდე ციფრებს, სანამ მოვიდოდა ეთერი და ვნახავდი პირადად, გავიგებდი რა ჰქონდა გულში და რა იმალებოდა ამ ქალიშვილის ფიქრებში.

1961 წელს ეთერ მჭედლიშვილს 0,14 ჰექტარზე გეგმით 56 ცენტნერი შაქრის ჭარხალი უნდა მოეყვანა. ქალიშვილი არც თუ ისე გამოცდილი იყო მუშაობაში. 56 ცენტნერი ჭარხლის მოყვანა კი დიდ შრომას მოითხოვდა... მოხდა ისე, რომ ეთერიმ შეცვალა გეგმა და იგი დიდი გადაჭარბებით შესრულა — 141 ცენტნერამდე გაზარდა. ახალგაზრდა მერგოლურს ამ საქმეში ბედმა კი არ გაუღიმა, არამედ მიწის მოვლაზე ენერგიის დახარჯვამ გაუმართლა.

— ყველა რომ ასე შრომობდეს, მაშინ ხომ ვერსად დაატევდით მოსავალს, — ვთქვი და ჩემს ამ ნათქვამზე გაეცინა თანამოსაუბრეს.

— ეთერი იმიტომ გვყავს რგოლის ხელმძღვანელად, რომ ისევე ამუშავებს სხვებსაც, როგორც თავად მუშაობს. ახლა სიმინდი ავიღოთ. 0,40 ჰექტარზე ეთერიმ 24 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 41,5 ცენტნერი მოიყვანა..

ასეთი მერგოლურები ჩვენს სოფელში ბევრნი არიან, და შეიძლება უკეთესებიც...

სირანა კორინთელი ყველაზე „მოუსვენარი" მერგოლურია. მოუსვენარს იმიტომ ვამბობთ, რომ ერთ რგოლში დიდხანს ვერ ჩერდება. როცა მან ორი წლის წინ მაღალი მოსავალი მიიღო და თავის რგოლის წევრებსაც გეგმები გადააჭარბებინა, ჩამორჩენილ რგოლში გადავიდა ხელმძღვანელად.

1961 წელს კოლმეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავე გახდა სირანას ახალი რგოლი. მისმა წევრებმა ვარაუდი ორმაგად გაანაღდეს, შაქრის ჭარხალიც გადამეტებით აიღეს და სიმინდიც.

ალბათ ეს გარდამავალი დროშაც სირანასია მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ იქვე გარკვევით წავიკითხე, რომ დროშა ეკუთვნოდა ბალიკო ქუჯოშვილის რგოლს.

ოთხი წელია ბალიკო ქუჯოშვილი არავის უთმობს დროშას, გასულ წელსაც შეინარჩუნა იგი. მასთან ბრძოლაში ჯერჯერობით მაინც მარცხდებიან სხვებიო — მითხრეს.

მერე სამივე მერგოლური ერთად მოვიდა, სამივე ახალგაზრდა, თავაზიანი და სასიამოვნო გარეგნობის. მათზე მე უკვე ვიცოდი მთავარი — რომ ისინი არიან ჩვენი დროის ადამიანები, რომლებსაც შრომა ღირსების საქმედ გაუხდიათ, რომ სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობაში მათ გვარებს ერთმანეთს არ აშორებენ, რომ ეთერის, სირანას და ბალიკოს გვერდით დგანან ათეულები, ასეულები...

მინდორში ვერ გავყევი მერგოლურებს, ვერც მათი თოხი ვნახე და ვერც სიმინდის ტაროები. მხოლოდ ვუსმენდი რიგრიგობით ერთს, მეორეს, მესამეს და ვნანობდი, რომ ასეთი სიტყვაძუნწები იყვნენ.

მათი ნაამბობი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს, სამივე გადიოდა სახლიდან დილას და ბრუნდებოდა საღამოს. სამივეს ჰყავდა თვრამეტი წევრი რგოლში და ამუშავებდნენ მიწას თითქმის ერთნაირად, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ერთს ერქვა ეთერი, მეორეს სირანა, მესამეს ბალიკო, თავისებურად უყვარდათ ადამიანი და თავისებურად იცოდნენ მეგობრობა. ეს ჩანახატებიც სწორედ ამ თავისებურებათა „აღმოჩენის" შემდეგ გაკეთდა.

მამა, ალბათ, როგორც წესი, არ იტყვის არაფერს, ეთერი კი უსიტყვოდ გაუმზადებს საუზმეს ძმებს, სახლს დაგვის, ჭურჭელს მიალაგებს, თავს წაიკრავს და წასვლისას შეახსენებს მამას — არ დაიგვიანოო.

იცის ეთერიმ, მერე რასაც ილაპარაკებენ მშობლები.

— ეჰ, რას იზამ, — იტყვის მამა. — ახლა ეგ არის ჩემი უფროსი რგოლში. მე მისი წევრი ვარ. რასაც მეტყვის ასრულება უნდა. ასე, შვილს რომ გაზრდი და ხალხში გამოიყვან, მერე შეიძლება აქეთ გასწავლოს რამე.

აფსუს! ერთ დროს მეც ვიყავი მერგოლური, მეც გავდიოდი დილაადრიან და ქუდზე კაცი გამომყავდა ყანაში. მაშინ ჩემი გოგო მუხლზე მეჯდა და თვალებში მიცქეროდა, რას ვიტყოდი. ახლა სამუშაოდ რომ გადის, ძუნწად მეუბნება — არ დაიგვიანოო.

— არ დაიგვიანო, დეიდა კატო, — უბარებს ეთერი ზემოუბნელ ბალამწარაშვილს და მერე მეორე მოსახლის კართან იძახის — ძია გოგი, ძია გოგი!

შემდეგ მესამე მოსახლესთან უფრო დიდხანს რჩება, შედის სახლში, ავადმყოფი ბავშვის დედას აიმედებს და გამომშვიდობებისას უბარებს:

— მესამე თოხი არაა ძნელი, ერთ დღეში მოვლევთ საქმეს. საღამომდე დრო დაგრჩება და ყველანი შევესევით შენს ნაკვეთს. ისე გაგითოხნით, თითქოს შენ გემუშაოს გულდაგულ.

გზაზე მოდის ცისანა კორინთელი. ის ყოველ დილით აქ ხვდება მერგოლურს და იგებს, ხომ არ არის წასასვლელი მინდვრად. არც დალი მჭედლიშვილს ჭირდება გაფრთხილება. საქმეს უადვილებენ რგოლის ხელმძღვანელს.

— გოგოებო, საუზმე წამოიღეთ, შორს მივდივართ სამუშაოდ.

გოგოები უკან ბრუნდებიან და მერგოლური გზას განაგრძობს.

— ნეტა ვინ მოიყვანს მეტ ჭარხალს, ცისანა თუ დალი? არა მგონია ცისანა ჩამორჩეს დალის, არც დალი ჩამორჩება ცისანას. შეიძლება არც მე ჩამომრჩეს ერთიც და მეორეც და მაშინ იტყვიან მათზე, მერგოლურს აჯობესო.

— თუ მაჯობეთ, კაბებს შეგიკერავთ, — თავს ანებებს ფიქრს და ეუბნება წამოწეულ მეგობრებს.

## გამოდით და დააგვიანოთ!

აი, ასეთი დარი უყვარს ამ წყნარ, უთქმელ ქალიშვილს — ქარიანი და ღრუბლო. ქარი ფანტავს ღრუბლებს და ეთერიმ იცის, რომ არ იქნება წვიმა, რომ ჭარხლის ძირები არ დასველდება, თოხნისას არ შეეშლებათ ხელი.

მაგრამ შეიძლება დედამ მაინც დაუჩემოს — დღეს დარჩი შინ, ცოტა შეუძლოდ ვარ და ბავშვებს მიხედე, შენს ნაკვეთს მამაშენიც გათოხნისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ გაჯობეთ?

— აი, წლის ბოლოს, როცა ვიანგარიშებთ და გავიგებთ, რომ ამდენი და ამდენი ცენტნერით მეტი მოიყვანეთ, ვიდრე მე...

— რას ამბობ, კაბას დღესვე დამიჭრი, საღამოს, აი, რომ დავბრუნდებით, მერე. შეკერვით კი მე შევკერავ...

— შეგიკერავ კიდეც, ჩემო გოგო, ამისთანა კარგ გოგოს როგორ არ შეგიკერავ!

# არ დამიჩაგროთ გოგო!

— რომელი ხარ, ახლოს მოიწი, შენ ის არა ხარ?...— და პაპა ალექსანდრე ფართოდ ახელს მიმქრალ თვალებს, მერე ხელს იქნევს და ასი წლის ძვლებზე მთელი ტანით ეშვება, — ეჰ, მიმტყუნეს თვალებმა... მაგრამ ხმაზე მაინც გცნობ, ბიჭო, ჩამოჯექი ერთი, ახლოს ჩამოჯექი.

პაპა ალექსანდრე ლოგინში წევს და მოწყენილობას შემოსწრებულ მეზობლებთან საუბარში კლავს.

ბებია ფეფო ცეცხლს ეფიცხება და როცა შეშა თავდება, ახალს უმატებს.

— რა ისმის სოფელში, მეზობელო, ჩემს გოგოზე, რას ამბობენ, კიდევ ტოვებენ მერგოლურად? — პაპას უხარია, რომ მისი შვილიშვილი მერგოლურია, მაგრამ სადღაც ენანება, — ბევრს შრომობს გოგო, ბევრს.

იცის რა არის შრომა ხმალაძეების ნაყმევმა ალექსანდრე კორინთელმა. რა ძნელია, როცა წელშიმოხრილი მოიყვან სარჩოს და შინ ვეღარ წაიღებ, სხვასთან მიგაქვს. მის შვილიშვილს თავის ნაშრომში კი კარგად შეხვდა, შრომადღეებზე ხომ მიიღო წილი და რაც გადაამეტა გეგმას, იმის მესამედიც შინ მოიტანა. ის რომ არ ჰყავდეთ!.. სირანაა მათი ერთადერთი მარჩენალი —პაპასიც, ბებიასიც, დედისაც და უმცროსებისაც. მას შესცქერის ამდენი წყვილი თვალი მას შემდეგ, რაც ომიდან არ დაბრუნდა ალექსანდრეს ვაჟი, სირანას მამა.

— იმ გოგოს დიდი ფართობი აქვს კოლმეურნეობაში, როგორ ამუშავებს ნეტა? — წუხს მოხუცი და გასამხნევებელ სიტყვას ელის მეზობლისაგან.

— მასე აქვს ყველას, ძია. რომ ვერ აუდიოდეს საქმეს შენი სირანა, განა 60 ცენტნერის მაგიერ 198 ცენტნერ ჭარხალს მოიყვანდა?

ასეთ პასუხს იღებს ვინ იცის მერამდენედ, და მაინც სულ ამაზე უნდა რომ ილაპარაკოს მოხუცმა, სხვა სასაუბროს ვერ ნახულობს მისი გონება.

მართალია, გარეთ ვეღარ გამოდის, წევს და მხოლოდ ამბებს ისმენს, მაინც ყველაზე უკეთ იცის, სირანა რომ პირველ წელს კოლმეურნეობაში გავიდა, წლის ბოლოს რგოლში გეგმას ყველაზე მეტად მან გადააჭარბა... მეორე წელს მარო კორინთელის რგოლში გადაიყვანეს მერგოლურად. ადრე მარო კორინთელი იყო მერგოლური და ახალმოსულ ხელმძღვანელს თავისი ადგილი დაუთმო. ისიც იცის ალექსანდრემ, დაღონებული რომ დადიოდა გოგო მთელი თვეები და ყოფილი მერგოლური აიმედებდა, ნუ გეშინია, ჩემი ხალხი არ არის ცუდი, მოთხოვე და ყველაფერში გამოგყვებაო.

მხოლოდ წლის ბოლოს გადიყარა სირანამ გულიდან დარდი, რგოლმა ორჯერ მეტი აიღო მოსავალი.

მერე ადგა და ჩამორჩენილ რგოლში გადავიდა. აქ კი უფრო ჯიუტი დახვდა ხალხი. ალბათ ამიტომაც იყვნენ ჩამორჩენილიო, და მათი გულისაკენ გზის ძებნა დაიწყო.

გავიდოდა დილით მინდორში და ხალხი არ ჩანდა ნაკვეთში, საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, მათი სახლის წინ ჩამოივლიდა და როცა თვალს შეასწრებდა საკარმიდამოში წახრილებს, არაფერს ეტყოდა მაინც. მეორე დილით კი კვლავ აფრთხილებდა მინდორში გასასვლელად. ითმენდა მერგოლური, შეიძლება ბევრსაც ითმენდა და მოიგო.

შერცხვათ, როცა ნახეს რომ ობოლი გოგო მათ ნაკვეთებს ამუშავებდა. შეიყვარეს მერგოლური და მერე იქით ეუბნებოდნენ, თუ ხელი შეგეშალა და ვერ გამოხვედი სამუშაოდ, ჩვენ მოვუვლითო შენს ნაკვეთს.

უხარია პაპა ალექსანდრეს, რომ წესრიგია შვილიშვილის რგოლში, მოწინავეებიც ბევრი ჰყავს მერგოლურს —ილო თომაშვილი, ბალიკო გუნდიშვილი, მარიამ კორინთელი — მხარში რომ უდგანან და დიდ შრომას ინაწილებენ, მაგრამ როცა თავის გოგოზე ლაპარაკს ჩამოაგდებს, ყველას შესთხოვს მოხუცი: ეგ არის ჩვენი მარჩენალი, შრომა ბევრი აქვს და არ დამიჩაგროთო გოგო.

# ვისია კეხურა?

— ბალიკო, ჰა, ბალიკო! ის კეხურა შენი იყო, წეღან რომ ვნახეთ გამოფენაზე?

— ჩემი რგოლისა იყო.

— მერე და, როგორ გვასახელა შენმა კეხურამ მოსკოვში! სამაგიეროდ თუ მიიღე რამე?

ბალიკო გულდაგულ დაკეცილ ქაღალდს შლის. აი, ნახე!

„1960 წელს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაგზავნილი საუკეთესო ვაშლისათვის ბალიკო ქუჯოშვილი დაჯილდოვებულია ბრინჯაოს მედლით და ფასიანი საჩუქრით."

— ყოჩაღ, ბალიკო. მაგრამ ჯილდო შენ ადრეც მიიღე მგონი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ხომ?

ის 1960 წელს იყო. ამ ჯილდოს კი ახლა ელის მერგოლური ბალიკო ქუჯოშვილი.

ნაცნობთან საუბარს ამთავრებს, ემშვიდობება და ბარს აწვება — ზამთარშიც მოვლა უნდა ვაშლს, თუ არ დაბარა ან წყალი არ მისცა, მოიწყენს კეხურა.

შინ მიმავალ ბალიკოს მაშო დუდაშვილი მოყვება გზად.

— ჩვენი დობა არ იქნება, მაშიკო, თუ არ გამიტოლდები. შარშან ყველა იმას ამბობდა, მერგოლურს დაეწიაო, წელს კი აღარ ამბობენ ამას, სხვებმა გაგისწრეს.

— შენ ხომ იცი მიზეზი, ბიჭი ავად იყო...

— ნუ ამბობ მაგ მიზეზს, სამ შვილს მეც ვუვლი. მერე ქმარსაც მოვლა უნდა, შენ კი...—აქ სათქმელი აღარ დაამთავრა, ინანა, ხომ არ ვაწყენინეო ომში დაღუპული ვაჟკაცის ქვრივს.

...მერე სახლამდე ხმა აღარ ამოუღია არცერთს, მაგრამ მაშიკომ იცოდა, რისი თქმაც უნდოდა მეგობარს.

— მე მინდა, შენი ვაშლიც გაიგზავნოს მოსკოვში, დამთვალიერებლები გაოცდნენ მისი ნახვით და თქვან: ნეტა ვისია ეს კეხურა? მერე შენი გვარიც გაიგონ, შენი სოფლის სახელიც და მედლითაც დაგაჯილდოონ.

ლია კაკაბაძე

# გორელი ქალები



მარჯვნიდან: მ. ხეხელაშვილი, რ. მეგრაბიანი, რ. კენკიშვილი, თ. მანველიშვილი

## ბრიგადირი მერის საამქროში

საათები შრომაში ილევა... ადამიანები იღლებიან და ცვლიან ერთმანეთს. აგრეგატები არ იღლებიან. დგანან და მუშაობენ შეუსვენებლივ, დღელამე...

ამ საამქროში კომბინატის მუშაობის ბოლო პროცესი ტარდება, სამი ბრიგადა სამ დიდ აგრეგატთან შრომობს. ახლახან მოქსოვილ ჩითს თუ სატინს, ფანელს თუ პიკეს ახამებენ, აშრობენ და ჭიმავენ. ამის შემდეგ მხოლოდ „ვერცხლის" უთოთი დაუთოვებაა საჭირო და გამზადებული პროდუქცია კომბინატის ტერიტორიიდან გააქვთ.

ამ მუშაობას სამი ცვლის ცხრა ბრიგადირი ხელმძღვანელობს... მერი ხეხელაშვილი ერთ-ერთი ამათგანია. ის მოვიდა აქ სკოლადაუმთავრებელი, და მოწაფედ დაიწყო მუშაობა. პარალელურად დაამთავრა კომბინატთან არსებული მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა და 18 წლის გოგონამ ოთხკაციანი ბრიგადა ჩაიბარა. მაშინ ბევრი რამ არ იცოდა მერიმ, გამოცდილებაც აკლდა... დრო მაინც სულ სხვაა, დაკვირვებულმა ქალიშვილმა მალე აუღო ალღო აგრეგატის ყველა თავისებურებას. ახლა მერი 23 წლისაა და... დღეს საამქროში არ არის ისეთი დანადგარი, რომ მერის არ შეეძლოს მასზე მუშაობა, მისი გაჩერების თუ დაზიანების მიზეზის ამოხსნა,

მერის ბრიგადის წევრებიც ახალგაზრდები არიან. თამარ მანველიშვილი ქსოვილის გახამებას ამოწმებს, როზა მეგრაბიანი — დაჭიმვას, რუსუდან კენკიშვილი — გაშრობასა და გასწორებას. შრომა და სწავლა, ოჯახი და დასვენება ხმაშეწყობილია ამ ოთხეულში. ყველაფერს ასწრებენ მარჯვე ქალიშვილები...

უნივერსალური დანადგარის „ჯანმრთელობას" საამქროში შესვლისთანავე ამოწმებს მერი. მერე კი, როგორც წესი, გამზადებულ სახამებლის ხარისხიანობას სინჯავს, დასამუშავებელ ნედლეულს იბარებს, ფენებად დალაგებულ ქსოვილს თვალს შეავლებს, ეშინია, წუნდებული ნაწარმი არ გაეპაროს. მეზობელ ნუნუ ელიაშვილის ბრიგადასაც მიაკითხავს და იქიდან გამობრუნებულს, გოგოები უკვე მოსული ხვდებიან.

...და როცა ბრიგადა შრომის ვახტზე დგება, როცა ამუშავდება ეს უზარმაზარი აგრეგატი და მასზე ჩითს ან სატინს გაუშვებენ, მერიმ იცის, რომ წყალჭარბი სახამებელია საჭირო, შავ სატინს წყალჭარბი სახამებელი უხდება. ათასობით მეტრი შავი სატინი თანდათანობით ხამდება ფართო დანადგარის კიდეზე და ორთქლის დიდ ტურბინებზე გასაშრობად ლაგდება. აქ რუსუდან კენკიშვილია პასუხისმგებელი. ქსოვილის გასაშრობი ორთქლის სიმძლავრე მან უნდა ცვალოს შესაბამისად. ხოლო, როცა „სკალა" 75 სმ-ს უჩვენებს, სატინის სტანდარტული სიგანის ზომას, როზა მეგრაბიანის თვალს ეს არ უნდა გამოეპაროს, თორემ გასაშრობმა ან გაუსწორებელმა ქსოვილმა მანქანაში რომ შეასწროს, დაჭიმვას ვერ გაუძლებს და დაიხევა. წუნდებულ პროდუქციას მიიღებენ.

სულ პატარა იყო მერი, ფრონტიდან მძიმედ დაავადებული მამა რომ დაბრუნდა. რა უნდა ექნა მერის დედას, წვრილშვილისა და ავადმყოფი ქმრის პატრონს, ქალიშვილი რომ გვერდში არ ამოსდგომოდა. ბამბეულის კომბინატში მუშაობდა მრთველად და გოგონაც თან წაიყვანა მოწაფედ. არ დააშავა ვარია ხეხელაშვილმა, მერიმ გაუმართლა იმედი. კომბინატმაც დააფასა მათი შრომა — ოროთახიანი ბინა მისცეს ხეხელაშვილების ოჯახს. როგორ გაიხარა მაშინ ოჯახის მამამ, ფიზიკურად ჯანგატეხილმა კაცმა. იმედიანი თვალები ქალიშვილს მიაპყრო: ახლა აღარაფრის მეშინიაო...

ერთმანეთისადმი დახმარება, ურთიერთგაგება და სიყვარული! — აი, რა არის მთავარი და ძირითადი მერი ხეხელაშვილის ბრიგადაში. სწორედ ამიტომ შეძლო ბრიგადამ ატაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის საამაყო სახელი.

ბრიგადებსა და საამქროებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ასეთმა მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრებამ გახადა კომბინატი ერთ-ერთ წამყვან საწარმოდ გორში.

ოთხი დიდი განყოფილებაა კომბინატში: ორი საქსოვი, სართავი, გამომყვან-დამხმარე განყოფილებები. მომავალი წლიდან უნდა დაემატოს კიდევ ერთი სართავი განყოფილება. რა თქმა უნდა, მუშების რაოდენობაც გაიზრდება. ამჟამად აქ სხვადასხვა ეროვნების 4.600 მუშა მუშაობს.

ბევრი სასახელო ადამიანი ჰყავს ამ ხალხმრავალ კოლექტივს, მათ შორის ქალებიც: ტ. ნაკეურმა, ნ. გიგუაშვილმა, ნ. ხარჩენკომ, ნ. ველიკოროდნაიამ, ლ. კურდღელაშვილმა და სხვებმა წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შეასრულეს.

დიდი ხანი არ არის, რაც გორის ბამბეულის კომბინატი წამოიმართა. მან დაიკავა ქალაქის ტერიტორიის თითქმის ნახევარი, საოცრად სწრაფი ტემპით გაშენდა და დამშვენდა მისი მიდამოები...ააშენეს საკუთარი სამეურნეო ტექნიკუმის შენობა, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლა, ორი საბავშვო ბაღი, ერთი საბავშვო ბაგა, ღამის სანატორიუმი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფო, კლუბი, სტადიონი და შიგ კომბინატში — კარგად მოწყობილი პოლიკლინიკა.

1961 წელს კომბინატის არსებობის 10 წლისთავი აღნიშნა კოლექტივმა. ეს წელი კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობის მოწვევის თარიღია. კომბინატმა ყველა წარმატება ყრილობას მიუძღვნა, ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად ბრძოლა კი ახლა იწყება...

1946 წლიდან მუშაობს მარიამი ქარხანაში, ინჟინერ-ტექნოლოგია. ნედლეულის მიღება და დამუშავება მისი ძირითადი მოვალეობაა.

. აი, ნედლეულის ბაქნიდან მიღებული ვაშლის ყუთები იცლება, საკომპოტედ ამზადებენ და „დახარისხების ხაზზე“ გზავნიან.

ორი ძირითადი ხაზია საამქროში: დახარისხებისა და ჩალაგების. „დახარისხების ხაზზე“ ეთერ მჭედლიძის, თამარ



ლამარა სიდამონიძე

# ქილები ლამაზი ეტიკეტებით

საკონსერვო ქარხნის მთავარ საამქროში შევდივართ. ჰაერის სპეციფიური სურნელი იგრძნობა... ტექნოლოგი მარიამ ჟიჟილაშვილი თეთრხალათიან ქალებთან „დახარისხების ხაზზე“ დგას და ჩვენსკენ იყურება.

მამულაშვილისა და სხვა ქალების დაოსტატებული ხელები ვაშლს ორად ან ოთხად ჭრიან, გააჩნია ნაყოფის სიდიდეს, და გასაფუფქავი ქვაბისკენ უშვებენ...

— გაფუფქული ვაშლი უფრო ელასტურია და თავისუფლად ლაგდება ქილებში, — გვიხსნის მარიამი.



მარიამ ჟიჟილაშვილი (მარცხნივ)

თინა ფსუტური მექვაბეა. ადუღებულ წყალში მან უნდა გაფუფქოს საკომპოტე მასალა. ხილის სხვადასხვა ჯიშები, სხვადასხვა დროს მოითხოვენ. ზოგს სამი წუთი სჭირდება, ზოგს — 5 წუთი. ახლა ვაშლია ქვაბებში და მას სამი წუთი მოუნდება. თინას მახვილ თვალებს ეს არ გამოეპარება, იგი ყოველთვის 110-120 პროცენტით ასრულებს გეგმას.

...კრიალა ქილებით დატვირთული კონვეიერები მწკრივად მოჰყვებიან „ჩალაგების ხაზს“. მარიამ შარიქაძე და შუშანა კარაპეტიანი მოპირდაპირედ მუშაობენ. მარიამი გაფუფქულ, გაცივებულ ვაშლს ქილებში ალაგებს, შუშანა სიროფს ასხამს, და ჯარისკაცებივით ლამაზად ჩარიგებული; კომპოტით სავსე 500-გრამიანი ქილები ავტომატურად დამხუფავი მანქანისკენ მიცურავენ...

აქ უმთავრესად იხარშება სადესერტო: ვაშლის, ატმის, კომშის, მარწყვისა და სხვა ხილის კომპოტები; სასაუზმე — წიწაკა და ბადრიჯანი; ნატურალური — კიტრი და პატისონი; ბავშვებისათვის — ხილის ფაფები.

საკონსერვო ქარხნის მთავარი საამქროს მეკონსერვეები თავის კარგ ტრადიციას არ ღალატობენ, შვიდწლედის მესამე წლის საწარმოო დავალება მათ 7 დეკემბრისათვის გაანაღდეს. შრომისმოყვარე კოლექტივი ამით არ დაკმაყოფილდა — წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ერთი მილიონი ქილა კონსერვი გამოუშვა. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მ. ყანჩაველის, ე. მახარობლიძის და სხვათა ბრიგადებმა. წარმოების ეს შუქურები 1962 წლის პირველი კვარტალის მესამე თვის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ახლა სეზონი თითქმის დამთავრებულია და ალბათ ვაშლის ფაფის ნახევარფაბრიკატების დამუშავებას დაიწყებენ. ქარხანა მუშაობას შეწყვეტს მარტისა და აპრილის თვეებში, მოემზადება საზაფხულო სამუშაოებისათვის.

სამურაბე საამქროში უფრო მეტი ფუსფუსია... ჰაერის სპეციფიური სურნელიც მეტად სასიამოვნო... „დახარისხების ხაზზე“ აქ მანდარინია—ზამთრის სეზონის ძირითადი ნედლეული. ბაბულია კარელიძე და ელენე ოსგებაშვილი მანდარინს შუაზე ჭრიან, ზოგს გულს უჩვრეტავენ და „მოსახარშ ხაზზე“ აწვდიან. ყოველდღიურ ნორმას ისინი 160 პროცენტით ანაღდებენ.



ფოტო დ. იაკობაშვილის

— სამურაბე 70-პროცენტიან სიროფს ცალკე ვამზადებთ. მანდარინს [illegible] და დიდ ქვაბებში ვყრით, სიროფს ზევიდან ვასხამთ, — ამბობს საამქროს ტექნოლოგი ლამარა სიდამონიძე. იგი ახალგაზრდაა. ახლახან დაუმთავრებია ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და სამუშაოდ მშობლიურ გორს, საკონსერვო ქარხანას დაბრუნებია.

...დგანან ქალები ქვაბებთან და მანდარინის მურაბას ხარშავენ. ზინა აბრამიშვილი და ნინო ქარელიშვილი ხარშვის კარგი სპეციალისტები არიან. მათი მოხარშული მურაბა ყოველთვის მაღალხარისხოვანი და გემრიელია.

...მოხარშული მურაბა ცივდება, სპეციალური დაჩვრეტილი ჯედროების საშუალებით სიროფს ცალკე წურავენ. „ჩალაგების ხაზზე“, თამარ მაჭარაშვილის ბრიგადის ხელმარდი ქალები, ისევე როგორც კომპოტის ჩალაგების დროს, ნაყოფიან ქილებს სიროფს ასხამენ... და დამხუფავ მანქანასთან მდგომ ლილი გონჯილაშვილს არც ერთი წუნდებული, დაუხუფავი ქილა არ გამოეპარება.

ამის შემდეგ, დახუფული მურაბის ქილები საცობიან ქვაბებში იყრება. 25 წუთს აჩერებენ შიგ, ვიდრე შინაგანი და გარეგანი წნევა არ გაწონასწორდება, რომელსაც ბარომეტრი უჩვენებს. ქილების გასტერილება აუცილებელია. ამით თავიდან იქნება აცილებული მურაბის დაშაქრება, დამჟავება და მიკრობების ჩაყოლის საშიშროება.

ეტიკეტების საამქროში კი ქილებს ლამაზად გაფორმებულ წარწერებს უკეთებენ და დატვირთული მანქანები ქარხნის ტერიტორიას ტოვებენ...

ამ ერთი თვის წინათ აქ დაინერგა ეგრეთწოდებული „ცუკატების“ დამზადება. ეს არის მურაბის ნახევარფაბრიკატის ახალი სახე, რომელსაც ზევიდან ეყრება შაქარი და გამოყენებამდე ამ მდგომარეობაში ინახება.

ქარხნის ტერიტორიაზე არის კიდევ ერთი საამქრო — ხელსაწყოების საამქრო. აქ სპეციალური: კასრები, დაჩვრეტილი ვედროები, თუნუქის ქილები და სხვა, მოთხოვნილების შესაბამისი ჭურჭელი მზადდება.

ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეები ქარხნის მუშაობის შრომატევადი სეზონია. ამ დროს სამი ცვლის მუშები შეუსვენებლივ მუშაობენ, ქარხანა დღეში 20 ათას ქილა მურაბას და 30 ათას კომპოტის ქილას უშვებს.

...ჩვენ დავტოვეთ საკონსერვო ქარხანა და თან წამოგვყვა რწმენა, რომ გორელი მეკონსერვეები მომავალ სეზონში მშრომელებს მიაწვდიან უფრო მაღალხარისხოვან და მეტი რაოდენობის პროდუქციას.

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი გული



—ჩემს შესახებ გიამბოთ?—შეცბუნებული კითხულობს ის, უხერხულად იმმუშნება, მერე თვალებს ოდნავ ლულავს და... წიგნივით იფურცლება მოგონებები.

გურია, ლამაზი გურია, აქოჩრილი კორტოხები, დაქანებული ხევები, ბახმაროს მთები... გრძელი ზღაპრები კერიის პირად, ნენას ნათქვამი ძილისპირული...

1905 წელი, რევოლუციის რომანტიკით გატაცებული გურია. კრებები და მიტინგები. ნიავივით დაჰქრის ოლიკო სოფლის შუკებსა და ორღობეებში.

— რავა თვალხელშუა გვეზრდება, — ამბობს დედა და ოლიკოს თვალს არ აშორებს.

მერე... მერე დაქალიშვილება, სარკისკენ მალულად თვალის გაპარება. ვის არ უჭირავს თვალი ბერიშვილების სარონტანა, მშვილდწარბა ქალზე.

— ნეტავი იმას, ვისაც აი ციცა შეხვდება. ცივ ქვაზე დაასახლებს, — ხვაშიადს ამჟღავნებენ შუასურებელი ბიჭები და შუკაში ჩავლისას ქურდულად უყურებენ ეზოში მოფუსფუსე მიუკარებელი სახის ქალიშვილს. თქმით კი, აბა ვინ რას გაუბედავს, ვაი იმას ვისაც რისხვით გამოენთება.

მაგრამ დროს თავისი მოაქვს და სიყვარულისათვის შეღერებული ქალიშვილი თავის ბედს სამუდამოდ უკავშირებს ექიმ ვლადიმერ ხვედელიძეს. შრომის სიყვარულმა ცხოვრებასთან ჭიდილში ხვედელიძეების ოჯახი სანიმუშოდ აქცია. მალე იგი წყვილმა ვაჟიშვილმა შეავსო და დაამშვენა.

უნდა ვისწავლო, — გადაწყვიტა ოლიამ და შრომა გაიასკეცა. ოჯახი, შვილები, ქმარი, ინსტიტუტი... ადამიანია თუ რკინაო — შურიანობდნენ მეზობლის რძლები.

და აი, ოლია ექიმია, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის პირველ თერაპიულ განყოფილებაში მუშაობს, ფარვანასავით დასტრიალებს თავს ავადმყოფებს, დღეღამეს ასწორებს და ყველაფერს ასწრებს.

— იხაროსო შენმა გამზრდელმა, — გრძნობას ვეღარ ფარავენ ავადმყოფების პატრონები. აქ მუშაობის ხუთი წლის მანძილზე ორ მეცნიერულ შრომას სწერს. ნიჭიერ, ენერგიულ ქალს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იგი სტოვებს საავადმყოფოს და სამუშაოდ მე-7 პოლიკლინიკაში გადადის. აბრეშუმის ფაბრიკა, საბავშვო ბაღები, სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბულატორია. — აი ობიექტები, სადაც რამდენიმე წლის მანძილზე უხდება მუშაობა, და ყველგან, სადაც არ უნდა მივიდეს, პატივისცემასა და ნდობას იმსახურებს. ანდა ვინ არ ენდობა მას, მუდამ საქმისათვის აფუსფუსებულს, დაუზარებელს, გულისხმიერს, ღამეებს რომ ათენებს სამედიცინო ლიტერატურის კითხვაში. დილით სამსახურში წასვლამდე გამოძახების გარეშე რომ გარბის ავადმყოფთან, ვაი, თუ სიცხემ კიდევ აუწიაო.

მოულოდნელად, 1939 წელს ოლიას ხელიდან გამოეცალა საყვარელი მეუღლე. დიდი იყო მწუხარება. პირველად თითქოს შედრკა, შეტორტმანდა ეს მედგარი ქალი: ვლადიმერი იყო მისი სულიერი საყრდენი, მისი პირველი მასწავლებელი. ინსტიტუტი რომ დაამთავრა დამოუკიდებლად რეცეპტის გამოწერასაც კი ვერ ბედავდა, დიაგნოზის დასმა გაურკვეველ შიშსა ჰგვრიდა. მაგრამ მის გვერდით იყო მეუღლე. დინჯი, აუღელვებელი და მოსიყვარულე. მისი პირველივე სიტყვა უფანტავდა ქალს იჭვსა და საკუთარი თავისადმი უნდობლობას...

განუზომელი ეჩვენებოდა თავს დამტყდარი უბედურება. მაგრამ მალე ძალა მოიკრიბა, მისთვის ჩვეული სიჯიუტით ჩაკეტა სევდა გულში, უფრო გამეხდა და გავაჟკაცდა.

— უღლად ბიჭები მყავს დასაზრდელი, არ უნდა შევარცხვინო ვლადიმერი, მამაზე უკეთესები უნდა გამოვიდნენო, — სთქვა და ცხოვრებას ხელახლა შეუტია.

ოლია ახლა უკვე მუშაობას იწყებს სტამბა „კომუნისტის“ ჯანპუნქტის გამგედ. სტამბის რომელ ვეტერანსაც არ უნდა ჰკითხოთ ხვედელიძის ქალი თუ გახსოვთო, თითქოს პირი შეუკრავთო, გაგიცინებენ და გეტყვიან: — „ოთარაანთ ქვრივის“ დავიწყება როგორ იქნება, ვინ არ იცნობს მაგ მადლიანსო.

ეს სახელი ოლიას ტიტე აცანელმა (ჩხაიძემ) შეარქვა: 1941 წლის დაუვიწყარი ზაფხული იდგა. ოჯახი და ნაცნობ-მეგობრები ტიტეს ფრონტზე აცილებდნენ. გამცილებელთა შორის ოლიაც იყო, შუბლშეკრული და წელში ჯიუტად გამართული. გამომშვიდობებისას ტიტე ოლიას მიუბრუნდა: „ოთარაანთ ქვრივო, ჩემს ოჯახს შენ გაბარებო“.

პირნათლად შეასრულა ოლიამ ეს დავალება; ამ ოჯახზე შეფობა იკისრა და დღემდე აგრძელებს. ტიტე უკან აღარ დაბრუნებულა. მისი შერქმეული სახელი კი დღემდე შემორჩა ექიმს.

ოლია მუდამ იქაა, სადაც დრო და მდგომარეობა ითხოვს. ომის მძიმე წლებში დაღვრილ სისხლს შევსება სჭირდება და დონორთა დაკომპლექტების ბრიგადაც, რომლის ხელმძღვანელიც ოლიაა, გეგმას 150 პროცენტით ასრულებს.

1951 წლიდან ოლია ყაზახეთშია. საქმისათვის, ხალხისათვის აძგერებული გული ერთი წუთითაც არ სწყვეტს რიტმულ ტემპს: ისევ პოლიკლინიკა, საავადმყოფო, ბინაზე გამოძახება.

— ერთხელ, — იგონებს ოლია, — ადრეულ გაზაფხულზე, როცა ყინული ლხობას იწყებს, უთენია გავიქეცი ავადმყოფთან. ავადმყოფი ბავშვი იყო, დიფტერიაზე მეპარებოდა ეჭვი და მთელი ღამე ვერ მოვისვენე. გაყინულ მდინარეს რომ მივუახლოვდი, ცოტა შევჭოჭმანდი, მაგრამ მდინარეზე გასვლით გზას თითქმის ნახევრად შევიმოკლებდი. ბევრი აღარ მიფიქრია, ისევ მდინარეს გავუყევი; შუამდეც არ ვიყავი მისული, რომ მოულოდნელად ყინულმა დაიჭრიალა და თვალის დახამხამებაში წელამდე წყალში აღმოვჩნდი. მომეშველნენ, ამომიყვანეს. ღამე სიცხემ ამიწია, სულ დიფტერიას მაბოდებდა. გადავრჩი. ფეხების ტკივილი დამჩემდა მხოლოდ.

სამი წლის შემდეგ დაბრუნდა ოლია ხვედელიძე საქართველოში, დაბრუნდა ცოდნით, გამოცდილებით გამდიდრებული და მაშინვე შრომის ფერხულში ჩაება.

ახლა ოლია ინფექციურ დაავადებათა კაბინეტს ხელმძღვანელობს თბილისის მე-9 პოლიკლინიკაში. ცხოვრების ბობოქარ გზას, ექვს ათეულ წელს ვერაფერი დაუკლია მისთვის. წელში ამაყად გამართული, გულმართლად და პირდაპირ შეჰყურებს ცხოვრებას თვალებში. საამაყო შვილების დედას, სამი შვილიშვილის ბებიას საზრუნავი და საფიქრალი არც სახლში ელევა. იგი ყველგანაა საჭირო — შინაც და გარეთაც. ყველა რჩევას, დარიგებასა და ყურადღებას მოითხოვს მისგან. მაგრამ ყველას და ყველაფერს იტევს ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი დიდი გული.

**ნანული ცაგარეიშვილი**



# მღეროდა ორი მეგობარი

მღეროდა ორი მეგობარი. თავს თავზე მიადებდნენ ერთმანეთს და მღეროდნენ. ვერცხლის ძაფი, ოქროს ძაფი ეწმახნებოდა ერთმანეთს, წყვილად მისდევდა. ეს მათი ხმები იყო, ჰარმონიულად შეწყმული.

„შენი ბაღის ყველა ვარდი, შენი ფანჯრის თეთრი ფარდა" — დნებოდა ოქროს ძაფი.

„რატომ არის ასე კარგი, ასე რატომ შემიყვარდა", — წკრიალი გაჰქონდა ვერცხლის სირმას, ცახცახებდა, ისევ სწორდებოდა და მაღლა მიიწევდა.

ოჰ, რამდენი სიამოვნება გვიგრძვნია მათგან. არ გამართულა თბილისში კონცერტი, რომ ორი მეგობარი არ გამოსულიყოს სცენაზე — ქერა და შავგვრემანი, ანუ როგორც სპეციალისტები ამბობენ — მეცო სოპრანო და ლირიკული სოპრანო. მცოდნენი იმასაც ამბობდნენ, ასე შეხმატკბილებული ხმები იშვიათად მოგვისმენიაო. მართლაც რომ ასე იყო.

შავგვრემანს ერთი ოცნება ჰქონდა: ჩაეცვა ქართული კაბა, ხელთ ჩანგი აღეპყრო და ისე ემღერა. ეს ფიქრი მეგობარსაც გაუზიარა. მე თვითონ, მე თვითონ შევკერავ ქართულ კაბებსო, ტანა მაშინვე. არც გაუძნელდებოდა. კარგ ხმასთან ერთად ხელებიც მარჯვე ჰქონდა, გამრჯე. განა სცენაზე გამოსასვლელ სხვა კოსტუმებსაც თავად არ ჰკერავდა ხოლმე?

...ახლა მე და მისი ქერა პარტნიორი — ციცინო მრგვალ მაგიდასთან ვზივართ. „ვერა, ვერ აუსრულდა ოცნება, ვერ მოასწრო ეთერმა საკუთარი ხელით ქართული კაბების დაკერვა, დაბასმული ლეჩაქი, წკრიალა ჩანგი ვერ დაიმშვენა", — ამბობს ციცინო და ცრემლი ადგება თვალზე.

მე იგი დაცალებულ ირემს მაგონებს.

ახლა აღარ აცხადებენ „შეასრულებს ეთერ გვაზავა და ციცინო ციცქიშვილიო". მაინც მღერის ციცინო, მღერის მეგობრის საყვარელ სიმღერებს, თბილისელების საყვარელ სიმღერებს. ჰყავს პარტნიორი, რომლის ხმაც კარგად შეეხმატკბილა. მაგრამ სადაც არ უნდა იმღეროს, მარად ასე ჰგონია — კვლავ ეთერი მიდგას გვერდით, კვლავ ის მომძახისო...

მერე ციცინო ჩუმდება. მხოლოდ დუმილს შეუძლია ჭეშმარიტი მწუხარების გადმოცემა. მეტს აღარ ვეკითხები. მე თავად ვიცი, რა მოხდა შემდეგ:

ეს იყო სამი წლის წინათ... ეთერს უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა ბავშვები. უნდოდა მისი პატარა ბიჭუნა მარტო არ დარჩენილიყო, ჰყოლოდა ძმა, დაიკო, უნდოდა კიდევ ერთხელ გაღიმებოდა მის ხელებში ჩვილს, ხელი მოეცაცუნებია. ქალის წმინდა ვალი ეძახდა — დედობა ეძახდა. მაგრამ... გულმა უღალატა, იმ გულმა, სიმღერებს რომ შეალია. მერე ციცინომ უკანასკნელ გზაზე გააცილა მეგობარი. ეთერს აცილებდნენ თბილისელები. აცილებდა ყველა, ვინც პატივს სცემს ჭეშმარიტ ხელოვნებას, ქართულ, მელოდიურ სიმღერებს, რომლის დიდი პოპულარიზატორიც იყო ეს ორი მეგობარი... აცილებდა მისი სიმღერები, რომლებსაც რადიოთი გადმოსცემდნენ...

და ყველაფერი კვლავ თავისი გზით წარიმართა. კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი ისევ წერს სიმღერებს ვოკალური დუეტისათვის, სადაც ეთერი სხვა ქალიშვილმა შეცვალა. ისევ შემოქმედებით ძიებაში არიან სამივენი.

მშვენიერი სიმღერების ავტორი, თავად სიმღერასავით მომხიბვლელი, კომპოზიტორი ლილი იაშვილი ხომ ამ დუეტის მეგობარია. მისი „ია იას" საუკეთესო შემსრულებელიც ხომ ეს ორი ქალიშვილი იყო.

მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც სანდრო მირიანაშვილია ამ წყვილთან. მან აადგმევინა ფეხი დუეტს — ამ პირველ მერცხალს ქართული ესტრადისას. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან. აკავშირებთ მოგონება წარსული წლებისა, პირველი სიმღერა, პირველი გამარჯვება... აკავშირებთ ხსოვნა ადრე დაკარგული მეგობრისა... პირველად სწორედ სანდროს გაუზიარა ეთერმა თავისი გულისნადები: მე და ციცინოს ერთად სიმღერა გვინდაო. გასინჯა ერთად მათი ხმები კომპოზიტორმა, მოუწონა განზრახული. მერე დიდხანს დადიოდა გარინდებული. ყურს უგდებდა იდუმალ ხმებს, ორი წკრიალა ხმისათვის ეძებდა მელოდიას... მერე სცენაზე აწკრიალდა „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“. ოქროს ძაფი, ვერცხლის ძაფი მიესადაგა ერთმანეთს, ერთ ხმად დაირხა. ქერა ქალიშვილმა, შავგვრემანმა ქალიშვილმა თავი თავს მიადეს და ისე იმღერეს სიყვარულის, სიცოცხლის საგალობელი. მსმენელებმა მაშინვე აიტაცეს ეს მელოდიური სიმღერა, მაშინვე დაიმკვიდრა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურმა დუეტმა ხალხის სიყვარული. ეს იყო 1953 წელს.

—ასრულებენ ციცინო ციცქიშვილი და ეთერ გვაზავა! — აცხადებდა ამის შემდეგ კონფერანსიე საქართველოს ყველა ქალაქში, დაბასა და რაიონში. „ფრთები“, „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“, „სებრო“, „რაც უფრო შორს ხარ“, ეწერა ფირფიტებს და იდგა სიმღერის ზეიმი ყველგან, კონცერტებზე, გამზირებზე, ოჯახებში... კომპოზიტორი მირიანაშვილი იყო მათი მუდმივი აკომპანიატორიც. კონცერტებიდან ისინი ერთად ბრუნდებოდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ხმამაღლა ფიქრობდნენ, და ესხმოდა ფრთები ოცნებას. „გინახავთ სადმე თქვენ განა ასე ლამაზი ფრთები?“ — ჟღერდა სიმღერა. და ხალხმა დაინახა მათი ფრთები, შეიყვარა მათი სიმღერა. და სიმღერასთან ერთად ორივე ასულს ჭეშმარიტი მეგობრობაც ამშვენებდა. „ხმების ჰარმონიულად შერწყმას, ხასიათების ჰარმონიულად შერწყმაც მოჰყვაო,“ — იგონებს ციცინო.

მშვენიერი ვოკალური დუეტი არ გამოპარვია სპეციალისტებს. მათ არა ერთხელ აღნიშნეს პრესაში, დადებითად შეაფასეს ეთერ გვაზავასა და ციცინო ციცქიშვილის შემოქმედებითი ზრდა. ქართველმა კომპოზიტორებმა სიმღერები დაწერეს მათთვის. ახალგაზრდობამ შეიყვარა მომღერლები. ამიტომაც წარგზავნა ისინი ახალგაზრდობის მე-5 მსოფლიო ფესტივალზე ვარშავაში. ეთერმა და ციცინომ მოხიბლეს პოლონელი, ფრანგი, გერმანელი მსმენელები, მოხიბლეს ჩინელი, მონღოლი, როდეზიელი, რუმინელი, იტალიელი...

ვარშავის ახმაურებულ ქუჩებში, ბედნიერი ახალგაზრდების ტალღას სიცილით მიაპობდნენ ქართულ კაბაში გამოწყობილი ციცინო და ეთერი. მათ კორესპოდენტები დასდევდნენ უკან, უღებდნენ სურათებს, ეკითხებოდნენ საქართველოზე. როცა ეთერმა და ციცინომ ფრანგ დელეგატებთან „სულიკო“ იმღერეს, მთელი დარბაზი აჰყვა სიმღერას. რაიმონდა დიენი კი, საყვარელი გმირი ქალი — რაიმონდა დიენი, შუაში ჩაუდგა ქართველ ქალებს და სიმღერას თავისი ხმა შეუერთა.

— მიყვარს საქართველო, მიყვარს ქართული სიმღერა, მიყვარხართ თქვენ, — უთხრა რაიმონდამ ციცინოსა და ეთერს. — ჩემი სურვილია კიდევ ვინახულო თბილისი! — გაუმხილა გულის ნადები მეგობრებს.

ვარშავიდან დაბრუნებული მეგობრები მეტი სიყვარულითა და მონდომებით შეუდგნენ საქმეს. თანდათან მდიდრდებოდა მათი რეპერტუარი, მდიდრდებოდა მათი გულებიც მსმენელთა სიყვარულით.

მირიანაშვილის: „ასე მითხრა“, „მიყვარხარ“, „ვით ნიავის ნაზი ფრთები“, ლილი იაშვილის „ციცინათელები“, „რად მემდური“, ალექსი მაჭავარიანის „სებრო“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“, გიორგი ცაბაძის „სიმღერა“ სამუდამოდ დამკვიდრდა ხალხის გულში. გარდა ქართული სიმღერებისა, ვოკალურმა დუეტმა აითვისა კლასიკური დუეტი, დემოკრატიული ქვეყნების სიმღერები. ამაში კი მეგობრებს დიდ დახმარებას უწევდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კონცერტმეისტერი რახილ ხარიტონის ასული გლეზერი. ეს დაუღალავი ქალი არ იშურებდა ახალგაზრდებისათვის ენერგიას...

ოთახში სიჩუმეა. მაგიდაზე დევს ნოტები საყვარელი სიმღერებისა. ციცინოს ხელებზე ჩამოუყრდნია თავი და ფიქრიანი თვალებით იმზირება ფანჯარაში. წვიმაში, თოვლში, მზიან დარში მარად და მარად იხსენებს მეგობარს. დაცალებული ირემივით ტკივა გული და გულს ისევ საყვარელი სიმღერებით აყუჩებს.

„უკანასკნელი კონცერტები ლენინგრადში გავმართეთ. დიდი წარმატებით გამოვდიოდით. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი გამოსვლები... ამის შემდეგ ერთად აღარ გვიმღერია...“

ქუჩაში გამოსულს, თითქოს თან მომდევს ვერცხლის ზარივით სუფთა, გაუბზარავი და წკრიალა ხმა ეთერ გვაზავასი. ხმა ჰყვება სიმღერით, თუ რა ლამაზია ქართველი გოგონა — სებრო; როგორ აყრია გიშრის ნაწნავები, როგორ უღიმის ვარდის ტუჩები, უელავს კბილები და უღელავს მკერდი...

ეთერ! აღარ იცინიან შენი ტუჩები, აღარ გიელავს კბილები, აღარ მღელვარებს შენი თბილი გული, მაგრამ შენი წკრიალა ხმა შემორჩა ქართველთა სმენას, სამუდამოდ შემორჩა!..

ნაზი კილასონია

## მე დედიკოს გავებუტე

ზურას ორი ძამიკო და
დაიკო ჰყავს კიდევ — ნატო,
მე დედიკოს და მამიკოს
ერთი ვყავარ, ერთი მარტო!

მე დედიკოს გავებუტე,
ჩემს მეტი რომ არ ჰყავს შვილი;
სათამაშოდ მეზობლებში —
მუდამ სხვაგან როგორ ვივლი?

ძმა რომ მყავდეს პაწაწინა;
იცით, როგორ მოვუვლიდი?!
აკვანს სულ მე დავურწევდი,
„აღუ-აღუს“ ვასწავლიდი;
ავიყვანდი ხელში ფრთხილად
და ეზოში გავივლიდი.

დედა ხშირად ტანს დაბანდა,
წყალში უყვარს ბიჭს ჭყუმპალი;
ფეხებს მაგრად გაიქნევდა,
დაგვწუწავდა ყველას წყალი.

მე ვიტყოდი: „ჭუპა-ჭუპა,
დათვი მჭლე და შენ მსუქანი“,
დედიკო კი — „სუქ-სუქ, სუქ-სუქ,
მოგემატოს ღონე, ჯანი“.

ახლა რა ვქნა, შინ ვარ მარტო,
ვინ გამართოს, ვინ გავართო?!
მუდამ ყურშას ვეთამაშო?
სხვა ვინა მყავს სახლში, აბა?!
სულელია: შემახტა და
დამიხია კბილით კაბა.

დედა, მამა დიდებია,
როგორ მეთამაშებიან?
წავალ ისევ ზურიკოსთან,
იქ პატარა ბავშვებია!

ილია სიხარულიძე

## გამოცანები

მგალობელი ფრთოსანია,
ია-ვარდის მგოსანია.

შავი ფერის ფრინველია,
კაცს ეჩვევა იგი ჩქარა,
ლაპარაკი ეხერხება
და პირს აღებს წარამარა.

აყლაყუდა ფრინველია,
გრძელფეხა და გრძელკისერა,
წყლის პირას და ჭაობებში
თევზ-ბაყაყის უყვარს ჭერა.

ყრანტალა და ფერად შავი
ფრინველია, ჰქვია...

ალ. საჩინოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ქარი

ძილი გაუკრთა, ღამე თეთრად გაათენა. ბორგავდა:

— არა, რა გამიბედა ამ ციცქნა გოგომ?

არა, ამას ვერ აიტანს გივი, ვერ გახდება ძმა-ბიჭების მასხარად ასაგდები. დღეს, სწორედ დღეს უნდა შეხვდეს და გაუსწოროს ანგარიში, მაგრამ ჯათენებას რომ არ დაადგა საშველი?

როგორც იქნა მტრედისფერი გადაეფარა ცას. გივი ლოგინიდან წამოიჭრა, სწრაფად ჩაიცვა და პლანტაციებს მიაშურა.

ჩქამი არ ისმოდა სოფელში, მაგრამ აგერ თეთრმა თავსაფარმა გაიელვა. მედიკოაო, გაიფიქრა და მუხლები მოეკვეთა. უნებურად ბუჩქებში ჩაწვა, ნამიანმა ბუჩქებმა გამოაფხიზლა, მაღლა აიხედა და სუნთქვა შეეკრა. მანქანასავით მოძრაობდნენ გრძელი თითები. კაბა ცვარს დაესველებინა, ტანზე შემოტმასნოდა ქალს. მშერა ვერ მოწყვიტა, თავისი განზრახვის შერცხვა. უნდოდა გაპარულიყო, მაგრამ ვერც განძრევა გაბედა, ვერც წელი წამოსწია... და მუშაობაში გართული ქალი თავზე წამოადგა. ჯერ შეეშინდა, მაგრამ მიწაზე გართხმულ ვაჟკაცს ისეთი საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ქალიშვილს სიცილი წასკდა. ვაჟი უფრო დაიბნა, დამნაშავე ბავშვივით თვალები ცრემლით აევსო. ამოილუღლუღა:

— მაპატიე, მედიკო.

მერე მოწყდა ადგილიდან და სოფლისკენ დაეშვა.

ქალი გაშტერებული მისჩერებოდა სწრაფად მიმავალ ვაჟს. ვერაფერი გაეგო, უნდოდა დაეძახა, ენა ვერ მოიბრუნა. გრძნობდა, რაღაც უჩვეულო ხდებოდა, სიცილიც უნდოდა, ტირილიც. რა მემართება? რა არის ეს? ეკითხება გულს... ღმერთმა დამიფაროს!

...დარდიმანდ, მუშტიკრივის მოყვარულ ახალგაზრდას ამრეზით უყურებდნენ სოფელში.

— აფსუს, რა კარგი ვაჟკაცია, მაგრამ რათ გინდა, თავის გარეგნობას თვითონვე არცხვენს, — ამბობდნენ თანასოფლელები.

გივი გელავა შვიდი წლის იყო დედა რომ მოუკვდა. დარჩა ხუთი და-ძმა. პეტრეს ბევრი ეჩიჩინეს ქალი ეთხოვა, მაგრამ ამაოდ.

— ვინ იცის, როგორი ხასიათის ქალი შემხვდება, ბავშვებს ვირავის დავაჩაგვრინებო, — ამბობდა. ქორივით დატრიალებდა შვილებს. დედის ალერსს მოკლებული პატარა გივი ყველას ეცოდებოდა და განსაკუთრებით ანებივრებდნენ. რაც არ უნდა დაეშავებინა, არასოდეს არ დაასმენდნენ მამასთან. მამა თუ რამეს დაასაქმებდა, დები გარბოდნენ შესასრულებლად. მზამზარეულად მიერთმევოდა ყველაფერი, და იზრდებოდა გივი თავნება. სწავლაზეც აიყარა გული და მეცხრე კლასიდან სკოლის კარებსაც გამოემშვიდობა. მიხვდნენ დები თავიანთ დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო.

თვითონ გივი კი შესანიშნავად გრძნობდა თავს. იმ დროს, როდესაც მისი თანატოლები შრომობდნენ, გივი ხის ძირში იყო წამოწოლილი და იმაზე ფიქრობდა, სად აეტეხა აყალმაყალი. ვერც დების ცრემლებმა გასჭრა, ვერც მამის მუდარამ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კი ჩაერია საქმეში. არაერთხელ მოინახულა გივი, ესაუბრა მეგობრულად, მაგრამ გივი ყოველთვის უკმეხი პასუხით ისტუმრებდა.

ახლა კი თვითონვე მიიჩქაროდა თავმჯდომარისაკენ — „შევეხვეწები, ვთხოვ. ვაჟკაცი კაცია და გამიგებს. რა სამუშაოც არ უნდა დამავალოს, თავს არ დავზოგავ". კოლმეურნეობის კანტორის კარები შეაღო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ახალაია ღიმილით შეეგება. ამას არ მოელოდა. ენა აუბორძიკდა:

— თუ, თუ სიკეთეს მიზამ, თქვენ იცით, — თქვა და გაჩერდა.

გიორგი მიხვდა, ღელავდა ჭაბუკი. თავზე ხელი დაადო. გაამხნევა.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ვაჟკაცი არა ხარ? ახალგაზრდობა ჩვენც გამოგვივლია, რა გაწუხებს? მითხარი. — გივი აწრიალდა — რა უთხრას? მედიკო დანელია მიყვარსო, მერე რა გამოვა? მედიკო კი შეიყვარებს? აკი უთხრა კიდეც — უსაქმური ხარო. არა, ჯერ საქმით დაუმტკიცებს.

გულისხმიერი თავმჯდომარე მიუხვდა თითქოს ფიქრს და პირდაპირ უთხრა:

— ჩაის მწონავი არა მყავს მეშვიდე ბრიგადაში, უნდა დამეხმარო...

განა ამაზე დიდი ბედნიერება კიდევ იქნებოდა გივისათვის? ფართობში სიხარულით შეხვდნენ თანატოლები, მაგრამ მედიკომ ისევ დაგესლა:

— ყოჩაღ, ვაჟკაცო, უფრთხილდი მზე არ მოგეკიდოს. ჩრდილში დადექი და ჩაი წონე.

გივის სიმწრის ოფლმა დაასხა, მაგრამ არ შეიმჩნია.

მოსვენება დაკარგა გივიმ. მართლაც და, ჩაის მწონავობა რა კაცის საქმეაო?

მალე მერვე ბრიგადა ჩააბარეს. დარაზმა ახალგაზრდები, დაგეგმა ფართობი: აქ კვადრატულ-ბუდობრივად დაითესოს სიმინდი, იქ მწკრივში, აქ კი მობნევითო...

აგუგუნდა ტრაქტორი, თვითონ ორი ჰექტარი მიიზომა. ყველაზე ადრე ჩაატარა პირველადი ხვნაც და თესვაც. შეჯიბრებაში გამოიწვია მეშვიდე ბრიგადა. ინათებს თუ არა, ბრიგადის წევრებს ჩამოუვლის, თუ რომელიმეს ლოგინში მოუსწრო, ვაი მისი ბრალი!

— ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდის მოყვანას ვფიქრობთ და ლოგინში ნებივრობ?

8771

— ბიჭო, ხის წვერზე ხომ არ გეძინა? — ემასხრებიან თანასოფლელები.

— მაგას სიყვარული არ აძინებს, ძამია, — უკუღმართობს ამირან კუპრავა.

— აი, დაილოცოს ღვთის სამართალი, რა ძალა ჰქონია სიყვარულს! რა კარგადაა ნათქვამი: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, — სახეგაბრწყინებული ამბობს 65 წლის მოხუცი ისიდორე სანაია.

და გივი დაუღალავად დატრიალებს ფართობს.

ვის აქვს ყველაზე კარგი მაჩვენებლები ჩაის კრეფაში?

— გივი გელავას ბრიგადას.

— ვის აქვს ყველაზე კარგი მოვლილი სიმინდის ნაკვეთი?

გივი გელავას ბრიგადას. — მკლავგაშლილი ვაჟკაცებივით დგას სიმინდის ღეროები და გივი გელავას წინაშე თითქოს თავს ხრიან მადლობის სათქმელად. და ყველაზე ჩამორჩენილი მერვე ბრიგადა მოწინავეთა შორის მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მოვიდა მსუყე შემოდგომა. მთასავით დადგა სიმინდის კალოები.

მძღოლები ბუზღუნებენ:

—ხომ არ გადაირია, ეს ოჯახაშენებული! თუ ამდენი შეეძლო, ამდენხანს სად იყო? გავწყდით წელში.

ამირან კუპრავა ქვეშქვეშ იცინის:

— რას იზამ, ძამია, ხომ გაგიგონიათ „სიყვარულის ძალა კლდესაც გაანგრევსო“.

და ზედიზედ იტვირთება მანქანები...

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობის ეზოში თავი მოუყრიათ კოლმეურნეებს, ზეიმია. თავი ისახელეს ახალგაზრდებმა. ყველას მაინც გივიმ აჯობა. მას უნდა მიულოცონ პირველობა, ჩააბარონ გარდამავალი დროშა. ყველა აღტაცებულია და გულთბილად ულოცავენ გამარჯვებას.

— ახლა კი მესმის რატომ არ ვუყვარდი თანასოფლელებს. ახლა მეც ჭირივით მეზარება ზარმაცი ადამიანები, — ამბობს იგი გულუბრყვილოდ.

ბედნიერია გივი, მაგრამ მაინც რაღაცნაირად შემოკვნესის გული, მედიკო არა სჩანს. „რა უგულო ყოფილა! რა იქნებოდა ერთი სიტყვა მაინც ეთქვა“, — არ ასვენებს ფიქრები.

მედიკო ხეს ამოფარებია და შორიდან უთვალთვალებს გივის. — „მე მეძებს, მე მეძებს“, ჩურჩულებენ მისი ტუჩები და გული ამოვარდნას ლამობს.

უცბად მერი დანელია წამოეპარა.

— გამოდი, გოგო, რას იმალები? ხომ ხედავ, შენი დარდით დადნა ბიჭი.

მედიკო გაწითლდა, თითქოს ქურდობაში დაიჭირესო, ხეს ჩაებღაუჭა და ამხანაგს შეევედრა.

— თუ და ხარ, თავი დამანებე.

— ძალიან ნუ გაიპრანჭები, თორემ იქნებ იქითაც შეეხვეწო. ვერ ხედავ, როგორ ფუტკარივით ეხვევიან ქალიშვილები? — ჩაიკისკისა მერიმ.

— მეტი არაფერი ჭამოს, — თქვა მედიკომ, მაგრამ გულში შიში მაინც შეეპარა, არ უნდოდა მის მეტს ვისმეს მოსწონებოდა გივი.

ახლა ლილი ბარათელი ჩააცივდა. მერიმ და ლილიმ ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და მედიკო ხელის კვრით გაიგდეს წინ.

გივიმ მისკენ მიმავალი მედიკო რომ დაინახა, სიხარული ვერ დაფარა. მისდა უნებურად მკლავები გაშალა.

მედიკო მიდიოდა და ფეხები ებლანდებოდა, აკანკალებული ხელები გაუწოდა:

— მომილოცავს, გივი — აღმოხდა.

თითქოს დედამიწა შეირყაო, მედიკო წაბარბაცდა, მაგრამ გივის ღონიერი მკლავები მაგრად ჩაეჭიდა. სიხარულს სიხარული მოჰყვა. ორ მოწინავე ადამიანს კოლმეურნეობამ დიდი ამბით გადაუხადა ქორწილი. ბედნიერი წყვილი მხარში ამოუდგა ერთმანეთს, შეჯიბრებაშიც გამოიწვიეს ერთმანეთი.

— წელს 14 ტონა ჩაის ფოთოლს ჩავაბარებ სახელმწიფოს, — პირობას იძლეოდა მედიკო.

— მე კი ას ცენტნერ სიმინდს მოვიყვან ჰექტარზე. — ამბობდა გივი.

და შეასრულეს კიდეც. სიყვარულის ძალა ხომ უძლეველია და შეუპოვარი.

ოლია რევია

# ზღაპრად უამბობს...

ეს საამქრო მთავარია პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში. აქ მარგანეცის გამდიდრება არასოდეს ფერხდება, არც მადანი იკარგება ტყუილუბრალოდ.

გუგუნებენ მანქანები, ხმაურობს დაზგა და გულში იხვევს ბუნკერებიდან წამოსულ, ნამცეცებად ქცეულ მადანს. შემდეგ ის აქ, ოლიასთან გროვდება და გამდიდრებული მიდის ძირს, ვაგონებისაკენ. ოლია კახნიაშვილს სამი დაზგა აბარია. 15 წლის გოგო იყო, პირველად რომ კლდეზე ხუხულასავით მიდგმულ ფიცრულ ფაბრიკაში მიიყვანეს. გაოცდა იტავაზელი ხელოსნის შვილი. — მამისათვის მაინც ეთქვათ, უკეთესსააშენებდაო, — გულში გაივლო. მაშინ ყველაფერი აკვირვებდა: გამურული კლდეები და გაშავებული წყალი, გვირაბებით დაღრღნილი მთის გული და ცას გამობმული ბადია. მალე ყველაფერს მიეჩვია, შრომა შეიყვარა, მეგობრები გაიჩინა.

მერე ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. ქვეყნის სიმშვიდე ქვემეხების გრიალმა დაარღვია. ახლად საძირკველჩაყრილ ოჯახს ბურჯი გამოეცალა, მეუღლე ომში წავიდა და დარჩა ახალგაზრდა დედა ოჯახში.

მძიმე დღეები იდგა.. ქმარს იარაღი ეკავა ხელში და სამშობლოს იცავდა, ცოლი კი ფაბრიკაში დაზგასთან მადანს რეცხავდა. ოჯახში საქმემ იმატა, შვილს დაობლებული დისშვილებიც მიემატნენ. ოლიას შრომა გაათკეცდა.

ომმა გადაიარა, დაბრუნდა ნაომარი მეუღლე. ქვეყანა წელში გაიმართა. ჭიათურის სამთო მრეწველობა გაიზარდა. გაქრნენ ყვირილის ხეობაში ხუხულა ფაბრიკები, მათი ადგილი მძლავრმა, ტექნიკით აღჭურვილმა ფაბრიკებმა დაიკავეს. ცა კიდევ უფრო მეტად დაისერა მთიდან მთაზე გაბმული ქსელებით, უფრო მეტი მარგანეცი წავიდა იმერეთის ამ პატარა კუთხიდან...

ოლია ისევ დაზგასთან დგას და თვალს არ აშორებს ცხრილში გამძვრალ შავი ქვის ნამცეცებს, არ შეუყვესო ფუჭი ქანი, არ დაეცესო მადნის ხარისხი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი მაღლა იწევს, ჯილდოს აძლევენ, მადლობას ეუბნებიან კარგი შრომისთვის, 1958 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოებენ.

რა სწრაფად წავიდა წლები.. განა გუშინ არ იყო, ამ ფაბრიკას რომ ჩაუყარეს საფუძველი? ადრე მადნის გამდიდრება პრიმიტიულად ხდებოდა. ახლა კი დღე არ გავა, ახალი მანქანა არ მოიტანონ, რაიმე გაუმჯობესება არ შეიტანონ მექანიზმების მუშაობაში. მის თვალწინ გაიზარდა ფაბრიკაც და ქალაქიც. ამაში მასაც დიდი წვლილი მიუძღვის. იგი როგორც ჭიათურის საქალაქო საბჭოს დეპუტატი აღმასკომის სხდომებზე ხან უბნის კეთილმოწყობის საკითხს სვამს, ხან ქუჩის გაფართოების, ხან საერთო საცხოვრებელში უწყლოდ დარჩენილ მუშებს შველის, ხან დედას უდგას მხარში. შრომა არ ეზარება და სწორედ ამიტომ მეოთხედ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ახლა ოლია ბებიაა, მაგრამ პენსიაში წასვლას არ აპირებს, ფაბრიკას ვერ ელევა. დგას დაზგასთან, შავი წყლის შხეფები სახეს უწინწკლავს და ფიქრობს: როცა მუხლი მოტყდება, როცა დაიღლება, თავის გაზრდილ გოგონებს ჩააბარებს საქმეს. შვილიშვილს კი ზღაპრად უამბობს ყვირილის გმირების ამბავს.

ლეილა ბერაძე

# ანეტა კაპანაძე



ერთ ზაფხულს ქართლის ულამაზეს კუთხეს-მშვენიერ გარიყულას ესტუმრა ახლად აკადემიადამთავრებული ნიჭიერი მხატვარი მოსე თოიძე. აქ მან დახატა ახალგაზრდა, თავდახურული ლამაზი ქართველი ქალის პორტრეტი. სამხატვრო გამოფენაზე ეს სურათი უმალ გაიყიდა და მთელი ქართველი საზოგადოება მოსე თოიძეზე ალაპარაკდა. ეს გახლდათ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ანეტა კაპანაძის პორტრეტი.

ანეტა გიორგის ასული გოგიბედაშვილი-კაპანაძე ნინო ორბელიანის, ეკატერინე გაბაშვილის, აკაკი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილის, ნინო ნაკაშიძის უახლოესი მეგობარი იყო.

იგი გაბედულად გამოვიდა ქალის კარჩაკეტილობის, გონებრივი შეზღუდულობის წინააღმდეგ და მისი სრული თავისუფლება მოითხოვა.

კლასიკურ განათლებას მოკლებული პოეტი ქალი, თვითგანვითარების წყალობით მალე დგება მოწინავე მებრძოლი ქალების რიგებში.

იგი 16 წლისა გაათხოვეს თავად პეტრე გრუზინსკის მოურავ იოსებ კაპანაძეზე. მიუხედავად უზრუნველყოფილი ცხოვრებისა, ანეტა არ მოსწყვეტია თავის სოფლის გლეხკაცობას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან და დაჩაგრული გლეხობის ბედ-იღბალზე ფიქრობდა მუდამ.

ანეტა კაპანაძე დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა: აქტიური წევრი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, მუყაითად შეჰქონდა მთისა და ბარის გლეხკაცობაში სწავლა-განათლება, წიგნის სიყვარული, უსასყიდლოდ ეზიდებოდა მათთვის ჟურნალ-გაზეთებს. მისი თაოსნობით სოფელ ახალქალაქში (ახლანდელი კასპის რაიონი) გაიხსნა სკოლა და ბიბლიოთეკა ღარიბ ბავშვთათვის, მისი მონაწილეობით იმართებოდა სოფელში წარმოდგენები, პიესებში ხშირად ქალის მთავარ როლებს თვითონვე ასრულებდა.

1914 წელს გაზეთ „თემის" მე-18 ნომერში ანეტა კაპანაძის საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ შემდეგს წერდნენ: — „ჩვენს რედაქციაში მოვიდა სოფელ ახალქალაქში მომუშავე ანა კაპანაძისა, მან წარმოგვიდგინა მთიელ მცხოვრებთა წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მათი ვედრება, რომ მიაწოდონ „დედა ენა", ქაღალდი, „ყარანდაში" და სხვა".

ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია გლეხთა წერილები ანეტა კაპანაძისადმი, ეს წერილები ცხადყოფენ მასთან ხალხის ურთიერთობასა და სიახლოვეს.

1911 წელს ანეტა კაპანაძემ საინტერესო მუშაობა გასწია: ხალხში შეაგროვა ისტორიული ნივთები, განძეული, და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა.

ამავე წელს ანეტა კაპანაძე, როგორც თავდადებული მუშაკი, აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად.

მის არქივში ჩვენ ვნახეთ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის წერილები, რომლებითაც ისინი დიდ მადლობას უხდიან ანეტა კაპანაძეს მის მიერ გაწეული შრომისათვის.

ანეტა კაპანაძის პატრიოტულ საქმიანობაზე ლაპარაკობს პოეტ იოსებ გრიშაშვილის მოგონება: ახლაც თვალწინ მიდგას, —სწერს პოეტი, — ფიქრის გორასთან ახალქალაქიდან მომავალ ურემზე მოხდენილად მჯდარი ანეტა. საქმეს ისე შეეწუხებინა ეს ლამაზი თავდახურული გრძელკაბიანი ქალი, რომ არას დასდევდა, რომელი ტრანსპორტით მოვიდოდა თბილისამდე.

აკაკის იუბილეზე ახალქალაქიდან დელეგატად ანეტა კაპანაძე იყო გამოგზავნილი. მან იუბილარს გადასცა ვერცხლის მოწყობილობა საწერი მაგიდისათვის და მხურვალე სიტყვებით მიმართა.

ანეტა კაპანაძეს იცნობდა ქართველი საზოგადოებრიობა. მის წერილებს სისტემატურად ბეჭდავდა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები.

ანეტა კაპანაძე მრავალი კარგი ლექსისა და მოთხრობის ავტორია. მწერალი ქალის უტყუარი ბელეტრისტული ნიჭი განსაკუთრებით გამომჟღავნდა ერთ-ერთ საინტერესო მოთხრობაში „ნატო", რომელიც ჟურნალ „კლდეში" იბეჭდებოდა. ამ მოთხრობაში მწერალმა გვიჩვენა დაჩაგრული ქალის მდგომარეობა, მისი გაუხარელი ცხოვრება, შელახული თავმოყვარეობა.

ანეტა კაპანაძე აქტიური მონაწილე იყო 1905 წლის რევოლუციისა. მან საკუთარ ზურგზე იგემა ყაზახთა მათრახების სუსხი. პოეტი ქალი დიდი სიხარულით შეხვდა ცარიზმის დამხობასა და რევოლუციის გამარჯვებას.

რევოლუციამ გზა გაუხსნა ქალს საზოგადოებრივი ასპარეზისაკენ. ამ უფლებას ხალხის სასარგებლოდ იყენებდა ანეტა კაპანაძე. იგი ხედავდა მენშევიკური მთავრობით უკმაყოფილო ხალხს, თანაუგრძნობდა ბოლშევიზმს და ეწეოდა მისი იდეების პოპულარიზაციას. — ამხანაგებო, მოქალაქენო, მე როგორც ქალი, დედაკაცი, როგორც უკმეხი, უდიერი ცხოვრების ტანჯული შვილი, მოვითხოვ დემოკრატ ქალთა სახელით ყოველ დაწესებულებაში, ყოველ სამოქალაქო ორგანოში სავალდებულოდ იქნეს ქალის მიღება და არა ისე, როგორც დღემდის, როცა მატყუარობა და თვალთმაქცობა იყო გამეფებული, არამედ როგორც შეეფერება დღევანდელი, გათვითცნობიერებული ქალის თავმოყვარეობას.

— ამხანაგებო, დედაკაცი ღირსია ღირსეული ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში, — ასე გაბედულად გამოდიოდა ანეტა კაპანაძე გაზეთ „ბრძოლის" ფურცლებზე.

„მენშევიკური მთავრობა მტრული თვალით უყურებდა დედაჩემს, — გვიამბობს ანეტა კაპანაძის ქალიშვილი მარო კაპანაძე,— იგი კიდეც დააპატიმრეს და გორში გაგზავნეს. მახსოვს, როგორ ბობოქრობდა ხალხი, როცა გვარდიელებს მიჰყავდათ ქართულ კაბაში მორთული კავებიანი ქალი".

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანეტას ცხოვრებას ახალი აზრი მიეცა. იგი ხალხში დატრიალდა, მისი ინტერესების სამსახურში ჩადგა, სოფლად კოოპერაციის ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდა.

1921 წელს ანეტა კაპანაძე, როგორც მოწინავე ქალი, ახალქალაქიდან დელეგატად გაიგზავნა თბილისში უპარტიო ქალთა პირველ ყრილობაზე.

მწერალი ქალის შინაარსიანმა, მჭერმეტყველურმა, დარბაისლურმა სიტყვამ განცვიფრებაში მოიყვანა ყრილობის მონაწილენი.

ანეტა კაპანაძემ ნაყოფიერად განვლო ცხოვრების გრძელი გზა; მას დარჩა მრავალი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, პიესა, ლექსი, წერილი, ფელეტონი, რომლებიც მოითხოვს შესწავლასა და გამოქვეყნებას.

ნინო ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




(მოთხრობა-ნამდვილი ამბავი)

ნ. ორევა

ჩვენ ათნი ვიყავით. ათი უპატრონო. თქვენ არ იცით ეს საშინელი სიტყვა: უპატრონო ბავშვი. ბავშვი უპატრონოდ.

პატრონობა ეს არის დედის ხელი, მამის მხრები, პურის ლუკმა, მათლაფა წვნიანი. პატრონობა ეს არის, როცა მკბენარი არა გყავს, არა გაქვს სირსვილი, მუნი, როცა არ გცემენ მოპარული ფუნთუშისათვის და არც გჭირდება მოპარვა, რადგან დილით საუზმობ, დღისით სადილობ, საღამოთი ვახშმობ.

ჩვენ არ ვსაუზმობდით, არ ვსადილობდით, არ ვვახშმობდით. არ ვიცოდით სიყვარული, არ ვიცოდით სიბრალული. შიმშილი, შიში და გაბოროტება — ამ სამი გრძნობით იოლად მიდიოდა ჩვენი მწარე ბავშვობა.

და ჩვენ ათნი ვიყავით იმიტომ კი არა, რომ დავმეგობრდით, არამედ იმიტომ, რომ ასფალტის სახარშავი ქვაბის ფართობი, რომელთანაც ჩვენ ღამღამობით ვთბებოდით, მხოლოდ ათი ბიჭუნას გამხდარ ზურგებს ყოფნიდა. მეთერთმეტეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დასჭირდებოდა იმისათვის, რომ არსებობისათვის საჭირო ნამცეცი სითბო მიეღო. ნებაყოფლობით არცერთი ჩვენთაგანი არ მისცემდა მას გათბობის საშუალებას და მხოლოდ ამიტომ ვიყავით ათნი.

მე მეათე ვიყავი. დრო ვიხელთე, როცა ამ ასფალტის წრის ერთერთი ბიჭუნა მოჰკლეს. იგი ეგდო ბაზრის მოედანზე და ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა ნაცრისფერი ფუნთუშა, საიდანაც რუსულ ღუმელში ოდნავ დამწვარი თითაბოს დაუფქვავი ღერო იყო გამოჩრილი.

პური! მინდოდა დავწვდომოდი მას. პურის შეჭმის შემდეგ შემეძლო დიდხანს მეღეჭა ის ღერო. იგი ალბათ, ცომის სუნითა და გემოთი იქნებოდა გაჟღენთილი. მაგრამ შემეშინდა, მეც არ მოვეკალი ვინმეს ამ პურისათვის და, ესეც არ იყოს, ხომ ადგილს დავკარგავდი თბილ ქვაბთან! და გვამს გავეცალე. სითბოს მივაშურე. მე არ ვიცოდი სხვა სითბო, გარდა იმისა, რომელიც ზურგს მითბობდა.

თავი იმით გაგვქონდა, რომ რაიმეს მოვიპარავდით ან „წავისაქმებდით". „წასაქმება" კი იშვიათად გვიხდებოდა, რადგან არ გვენდობოდნენ და არც რამის გაკეთება შეეძლო ჩვენს ხელებს, რომლისთვისაც არავის არაფერი უსწავლებია.

იმ დღეს გაზეთებს ვყიდდი. გაყიდულ ას გაზეთში საფოსტო განყოფილების ძია-კაცი პურს მაჭმევდა და თანაც შაურიანს მაძლევდა. როცა ფხიზელი იყო ვეცოდებოდი. მთვრალი კი გაბოროტდებოდა ხოლმე, უფრო მეტ ფულს მთხოვდა, ვიდრე გაზეთებში მქონდა აღებული და გარეთ მაგდებდა.

— ახალი გაზეთი! ახალი გაზეთი! — გავყვიროდი, — შემთხვევა! შემთხვევა! ქალაქის სამხეცედან გაიქცა ორი მახრჩობელა გველი. ორი მახრჩობელა გველი! ვინც იპოვის, მიიღებს გასამრჯელოს!

რა ძნელია ამ ეშმაკისეულ „გასამრჯელოს" გამოთქმა სიცივისაგან დაბუჟული ტუჩებით! „გა-სა-მრჯე-ლო". მორჩა და გათავდა! გაზეთები გაიყიდა. უკანასკნელი შავი ფული ჩახრუნდა კონკებში. ოსტატურად დამალულ ჯიბე-ტოპრაკში.

უკანასკნელი გაზეთის გაყიდვას მუდამ თან ახლდა სულიერი ბრძოლა. მივცე ფული, თუ არ მივცე? იქნებ სჯობია მთლიანად დავხარჯო ეს შაურები? შეიძლება ვჭამო დღეს და ხვალ. არა, ხვალ, სულერთია, ველარ მოახერხებ. წაგართმევენ ვანკა და სხვებიც, რომლებსაც შენს გვერდით სძინავთ. ისინი იჩხუბებენ ამ ფულისათვის, შენ კი, შენ განზე იჯდები და ჭუჭყიანი, ბოლმიანი ცრემლებით მოითხუპნი დიდი ხნის დაუბანელ პირს. და საფოსტო განყოფილებაში აღარასოდეს მოგცემენ გაზეთებს და არასდროს გაჭმევენ პურს.

ნამცეცა, ბავშვურ შორსმჭვრეტელობას ბიჭუნა მიჰყავს საფოსტო განყოფილებაში.

ძია-კაცი მთვრალია. ბიჭუნას შაურიანი არ მისცეს. პური არ აჭამეს და მომავალი ადამიანი მილასლასებს ქუჩაში, ქვაბისაკენ. იქ საჭმელი არა არის რა. ახლა იმედი სანაგვე ყუთზეა, დიდი სახლის ეზოში რომ დგას. იქ არის ხოლმე საჭმელი და ადამიანმა შეუხვია ეზოში. ყუთში რაღაც შრიალებს. გამოცდილებით (რა საშინელი გამოცდილებაა!) ადამიანმა იცის: ყუთში შრიალი და გაწამაწია იმას ნიშნავს, რომ საჭმელი არის. ვირთხები და ძაღლები ადამიანზე ადრე გრძნობენ საჭმლის სუნს. ბრძოლა იქნება საჭირო, ჯოხი! ადამიანი გადაეკიდა ყუთის კედელზე, ცდილობს მომავალი ბრძოლის ველი დაათვალიეროს. ყუთში ნახევრად ბნელა. ვირთხები არ არის. რაღაც გრძელი მოძრაობს ნაგავში. ორი!

ორი გველი! მსხვილები. გრძელები. გა-სა-მრჯე-ლო! ბევრი შაურიანი! მანეთები! საჭმელი! შარვალი! ფეხსაცმელები!

სირბილით! ქარის სისწრაფით! სამხეცისაკენ! ადამიანის გვერდით გარბის საშინელება. „ხელიდან წამივლენ. აღარ მექნება პერანგი. შაურიანებიც აღარ მექნება".

აბა, ჩქარა! ალაყაფის კარები დაკეტილია. მაღალი ღობე, თვალის დახამხამება და ბიჭუნა ღობის მეორე მხარესაა. გამგის სახლი. ზღურბლზე აღიმართება ჭუჭყიანი არსება.

— მახრჩობელა გველები! ორი!

და ისევ ეს ეშმაკისეული, ენის მოსატეხი „გასამრჯელო". აურზაური. ბადე. ტომრები. მახრჩობელები არ წასულან, საყვარელი, მთვლემარე მახრჩობელები!

მერე აღარაფერი წამსვლია ხელიდან ცხოვრებაში. აღარც შარვალი, აღარც პერანგი, აღარც ძილი გამგის ბინის სამზარეულოში. არც სკოლა.

შემთხვევითობა. ეს ის არის, რაც შეიძლება ყოფილიყო და შეიძლება არც ყოფილიყო. მაგრამ შემთხვევითობის გარდა არსებობდა აუცილებლობა. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანამ ენერგიული ბრძოლა გამართა უპატრონობასთან. ბრძოლა გამართა და კიდეც მოსპო იგი.

ერთ ღამეს ჩემი თანამოძმენი ქვაბს მოჰგლიჯეს კომკავშირელებმა. დაბანეს. ჩააცვეს. ასწავლეს მუშაობა. სად არიან ახლა ისინი? არ ვიცი. მე კი ზოოპარკის გამგე ვარ და თანამშრომლებმა არ იციან, რატომ ვდგევარ ზოგჯერ დიდი ხნობით მახრჩობელების გალიასთან.

თარგმნა ბ. ვაშაძემ

ჩვენი ჟურნალის

# გამორჩეული

ჩოხატაურის რაიონში არის სოფელი ბუკნარი. სოფელი პატარაა, მაგრამ მის მკვიდრთა სახელები მთელს რაიონშია ცნობილი. როცა მათზე საუბარი ჩამოვარდება, პირველად ნანული ჩავლეიშვილს ახსენებენ — ბუკნარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელს.

22 წლისაა ნანული, 3 წელია დაამთავრა საშუალო სკოლა და მას შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობს. გასულ წელს 4. 300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს, მთლიანად რგოლმა კი — 29 ტონა. გამრჯე, ყოჩაღი გოგოები არიან ნანულის რგოლში, ერთმანეთს ეხმარებიან შრომაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან კიდეც. ისინი წელს ჩაის ფოთლის ჩაბარების უფრო გაზრდილ ვალდებულებებს ითვალისწინებენ.

ერთ წუთს ვერ ნახავთ უსაქმოდ ახალგაზრდა მერგოლეურს. კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, სკკპ წევრობის კანდიდატი, საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომის პლენუმის წევრი ნანული ჩავლეიშვილი სასოფლო საბჭოს დეპუტატიცაა.

სამაგალითო მუშაობისათვის მან კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება დაიმსახურა.

ნანული აგიტატორიცაა, მისი რგოლის წევრები ყოველი ახალი, საყურადღებო მოვლენის კურსში არიან. ამჟამად მერგოლეური თავის მეგობრებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შედეგებზე ესაუბრება, რაზმავს მათ ახალი წარმატებების მისაღწევად.

საღამოს, როცა სოფელში ნათურები აკიაფდება, როცა მთელი დღის შრომით დაღლილი კოლმეურნეები დასასვენებლად სასოფლო კლუბს მიაშურებენ, ნანული კულისებში დგას და სცენაზე გამოსასვლელად ემზადება — ის მომღერალთა გუნდის წამყვანი სოლისტია. შემდეგ, როცა სოფელი იძინებს, ნანულის ოთახში მაინც ანთია სინათლე — იგი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება.

ნ. ბუკია. ბუკნარი.

## მოწინავე მწველავი

როცა ქეთევან მიქაძემ თვითეული ძროხიდან 1. 600 კილოგრამი რძე მიიღო, მოწინავე მწველავის სახელი განიმტკიცა.

გასულ წელს მან ვალდებულება აიღო თვითეული ძროხისაგან მიეღო 1.700 კილოგრამი რძე და თავიდანვე გაშალა ენერგიული მუშაობა. ამას შედეგად მოყვა ის, რომ 10 თვეში თვითეული საფურაჟე ძროხისაგან 1.800 კგ რძე მიეღო. წარმატების მიზეზი მის ბეჯით შრომაშია. მეწველი ძროხები ქეთევანს გადაყვანილი ჰყავს ბაგურ-ბანაკურ კვებაზე. პირუტყვისათვის დამზადებული აქვს საჭირო რაოდენობით სილოსი. ზაფხულობით აწარმოებს ძროხების სადღეღამისო ძოვებას. ძროხები უზრუნველყოფილი არიან მწვანე საკვებით, სუფთა სასმელი წყლით. მათ ქეთევანი დღეში 3-4 ჯერ წველის. ზამთარში ძროხებს აძლევს როგორც კონცენტრულ, ისე უხეშ საკვებს.

ქეთევანი სისტემატურად ეცნობა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მწველავთა გამოცდილებას და ფართოდ იყენებს პრაქტიკაში.

აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობის სახელოვან მწველავს ქეთევან მიქაძეს პატივს სცემენ, აფასებენ. იგი თანასოფლელებმა 1958 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ქეთევანი, როგორც დეპუტატი, ყურს უგდებს თავის ამომრჩევლებს, დაუღალავად ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისათვის.

სკკპ XXII ყრილობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მოწინავე მწველავში. ქეთევანი გულდასმით სწავლობს ყრილობის მასალებს და თავდადებით შრომობს ახალი წარმატებისათვის.

ქეთევან მიქაძემ ვალდებულება იკისრა წლის განმავლობაში თვითეული ძროხისაგან მიიღოს 2.200 კილოგრამი რძე. იგი ვალდებულებას გაანაღდებს.

ი. თოფურია,
ნ. მიქაძე,
აბაშა.

## ბავშვების მეგობარი

ოცი წელია. რაც რუსუდან ავალიშვილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მუშაობს ბიბლიოთეკარად. ის ჩინებულად იცნობს ქართულ და რუსულ საბავშვო ლიტერატურას, ესმის ნორჩი მკითხველის მოთხოვნილება. მას სასახლეში „ცოცხალ ენციკლოპედიას“ ეძახიან. ხშირად მიმართავენ რაიმე ცნობისათვის. რუსუდანის პასუხიც ყველას აკმაყოფილებს — მან ბევრი რამ იცის, ბევრი უნახავს...

რუსუდანი ქართველი ინტელიგენტის ნიკო ავალიშვილის ოჯახში აღიზარდა. მამამისის, თეატრალური და საზოგადო მოღვაწის, მწერლის, მთარგმნელის და ჟურნალისტ-გამომცემლის გავლენით რუსუდანი პატარაობიდანვე წიგნების კითხვას შეეჩვია.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რუსუდანმა კრძალვით შეაღო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციის კარი. „ჯეჯილის“ რედაქტორმა ანასტასია თუმანიშვილმა-წერეთლისამ ახალგაზრდა რუსუდანს საპასუხისმგებლო საქმე დაავალა — შემოსული მასალების გადასინჯვა, დაჯგუფება, კორექტორობა...

1924 წელს რუსუდან ავალიშვილმა სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებული საბიბლიოთეკო ერთწლიანი კურსები დაამთავრა და ამავე სახლის ბიბლიოთეკაში დარჩა სამუშაოდ. შემდეგ, როგორც გულისხმიერი და ბავშვის ფსიქოლოგიის კარგი მცოდნე, იგი ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს.

დღეს რუსუდანი ისევ განაგრძობს თავის კეთილშობილურ საქმეს, ბავშვებთან არის, წიგნის სიყვარულს უნერგავს, ახალ ლამაზ სამყაროს აცნობს მათ.

თ. იშხნელი

## სოფლის მასწავლებლის ცხოვრება

არა. ეს წვიმა არ არის. ფოთლები შრიალით ეშვებიან ძირს. უკვე გვიანაა. ის მაინც ზის მაგიდასთან და ასწორებს რვეულებს. მოუსვენრობა კი მატულობს თანდათან... მერე თავსა სწევს ზევით და იგონებს:

სწორედ ასეთი ღამე იყო მაშინაც: შემოდგომის მთვარიანი, ნათელი ღამე. ქარვისფერი ფოთლები წყდებოდნენ ტოტებს. იდგა ფოთოლცვენის ჟამი. ბავშვებს კარგახანია ეძინათ. თვითონ კი მოუსვენრად წრიალებდა ლოგინში. თენდებოდა. გრიგოლი კი არა და არ ჩანდა. საბერიოში იყო წასული სასწრაფო საქმეებზე მცირე რაზმით. შფოთიანი დღეები იდგა მაშინ. მტერი უსისხლოდ არ ყრიდა იარაღს. კბილებს ილესავდენ კულაკებიც.

გრიგოლი უშიშარი ვაჟკაცი იყო, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო რაიონის ახალგაზრდობის, კომკავშირელების ხელმძღვანელი, მაგრამ...

მოვიდა ამბავი — შემზარავი, თავზარდამცემი: საბერიოში გრიგოლს ყაჩაღები დასდევნებიან, მოუკლავთო. ასე დაქვრივდა გრიგოლ ფარფალიას მეუღლე.

მას, ერთადერთ ქალიშვილს, გლეხის კვალობაზე ნებივრად ზრდიდა ფაშუ ჯგუბურია. პატარა თამარი მკვირცხლი ბუნების იყო, გაბედული, თამამი. სკოლაში ბეჯითად სწავლობდა. ძალზე უყვარდა წიგნების კითხვა და ხშირი სტუმარი იყო ოქუმის იმ ბიბლიოთეკისა, რომლის დაარსებას „ივერიაც“ კი გამოეხმაურა თავის დროზე.

თამარს ბიძის — გიორგის საუბრის მოსმენაც უყვარდა. ხშირად, საღამოობით ბიძია გიორგი გვერდით მოისვამდა თავის ცნობისმოყვარე, საყვარელ ძმისწულს და უამბობდა საინტერესო ამბებს. გიორგი უწიგნური, უბრალო გლეხი იყო, მაგრამ ბევრი რამ ენახა და განეცადა. სწორედ ბიძია გიორგისაგან იცოდა პატარა თამარმა, რომ შორს, რუსეთში დიდი რევოლუცია მოხდა, რომ იქ ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს აქვთ, რომ იქ ახლა სასტიკი ომია, მაგრამ აუცილებლად მუშები და გლეხები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიმარჯვებენ. ჩვენშიაც მალე აფრიალდება წითელი დროშა, ამას უკვე ჩურჩულით კი არა, აშკარად ამბობდნენ სოფელში, ყველა აფორიაქებული იყო. ყველა მოელოდა რაღაც დიდსა და უჩვეულოს...

და დადგა მარტი — გაზაფხულის პირველი თვე. აყვავდნენ ტყემლები და ალუჩები. გაზაფხულმა მოიტანა სითბო და ნანატრი თავისუფლებაც. აფხაზეთში ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა. თავისუფლების მზემ შეაშუქა ოქუმშიც.

თამარი კომკავშირელი ხდება. სოფელში უკვე 5 კომკავშირელია — ბრძოლის წყურვილით ანთებული, პარტიის საქმისათვის. ხალხის საქმისათვის თავდადებული. თავიანთ ხელმძღვანელად თამარს ირჩევენ. იწყება მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრება. ბრძოლა აშკარა თუ ფარულ მტრებთან.

მერე... გალის საშუალო სკოლაში აგრძელებს სწავლას თამარი. აქაც აქტიური კომკავშირელია: დაუზარელი, საქმიანი.

გალში ხშირად ხვდება თამარი თანასოფლელ გრიშა ფარფალიას. ყოველი შეხვედრა კი ახალ მღელვარებას ბადებს, უცნაური, აუხსნელი სიამით ატოკებს გულს. გრიშას თვალების სითბო თან დაჰყვება თამარს...

გარბიან დღეები. თვეები. წლები. თამარი ორი შვილის დედაა. ოჯახზე ზრუნვა ხელს არ უშლის ასწოროს მოსწავლეთა რვეულები. მონაწილეობდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში...

ქმრის დაღუპვა მეხივით დაეცა თავს. ეგონა, ვერ გადაიტანდა ამ უბედურებას. მაგრამ სოფელმა, ხალხმა გადაატანინა სიმძიმე. თამარი ქუთაისის პედინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად.

კვლავ მშობლიური სკოლა. ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ ნიშნავენ ახალგაზრდა ქალს, მერე დირექტორად.

1939 წელი განსაკუთრებით დაუვიწყარია თამარისათვის: ამ წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

სამამულო ომის მძიმე წლებში ოქუმში ძველი პარტიზანებისაგან შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონი. ხელმძღვანელად სოფლის თავკაცი გიორგი ჯგუბურია აირჩიეს. ბატალიონის პოლიტხელი თამარი იყო.

მერე სოხუმში მუშაობდა თამარი ერთხანს. საბოლოოდ ოქუმს დაუბრუნდა, საითკენაც ყოველთვის მიუწევდა გული.

ბევრი ლამაზი სოფელია საქართველოში. მაგრამ ოქუმი თავისებურად განუმეორებელია და თვალწარმტაცი. ამ მშვენიერ სოფელში არის სკოლის ლამაზი ორსართულიანი შენობა, ქვითკირის გალავნით შემოვლებული, ხეხილნარით დაჩრდილული ფართო ეზო, სპორტული მოედნები.

აქ ყოველდღე ნახავთ თალხკაბიან საშუალო ტანის, მიმზიდველ ქალს. ის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, რაიონული საბჭოს დეპუტატი თამარ ფარფალიაა.

ციალა არდაშელია

# ჩვენი საოჯახო კლუბი

ბინის მოწყობა

## როგორ შევკეროთ ავეჯის შალითა

უბრალო ჩითის ან იაფფასიანი დეკორატიული ქსოვილისაგან შეკერილ შალითაში (ჩიხოლში) ჩასმული დივან-ტახტი. ჩვეულებრივი ვენური სკამები, პატარა ტუალეტის მაგიდა და დაბალი პუფი ძალიან ჰარმონიულს ხდის ოთახს, თუ შალითის ქსოვილის ფერი ეხამება ოთახის კედლებისა და სხვა ავეჯის ფერს.

როგორ უნდა შეიკეროს შალითა?

უპირველეს ყოვლისა, გაზომეთ თქვენი ავეჯის ყოველი საგანი. ეს იმისათვის, რომ იცოდეთ, თუ რა რაოდენობის ქსოვილი იქნება საჭირო. შალითისათვის. უკეთესია სქელი ქსოვილი შეიძინოთ: ის ნაკლებადაც იჭმუჭნება და მტვერსაც არ უშვებს.

თუ შალითა მთლიანად ფარავს ავეჯს, მისი ხაზები და ნაკეცები უსათუოდ უნდა ემთხვეოდეს ავეჯის ყველა ხაზს. ამავე დროს შალითა აუცილებლად თავისუფლად უნდა ეცმეოდეს ავეჯს და ასევე თავისუფლად იხდებოდეს.

ჯერ ძველი, გამოუსადეგარი ზეწრისაგან მოამზადეთ თარგი — აი, ასე: ზეწარი დააფარეთ დივანს ან სავარძელს და ცარცით აღნიშნეთ ქსოვილზე ავეჯის კონტურები: ზურგი (წინიდან და უკანა მხრიდან), დასაჯდომი, სახელურები და სხვა. მერე ამ კონტურების მიხედვით გამოსჭერით თარგი (ცოტა შესაკერი პირიც დატოვეთ). შემდეგ დალამბეთ ეს დეტალები და ისევ დააზომეთ ავეჯს, და თუ საჭიროა, შეასწორეთ. თუ ქსოვილი ავეჯს კარგად მოერგო, ამოიღეთ ლამბის ძაფი და ამ დეტალების მიხედვით გამოჭერით საშალითო ქსოვილი. შემდეგ ეს ნაწილები აკინძეთ, კიდევ მიაზომეთ ავეჯს და მხოლოდ მაშინ შეკერეთ.

ავეჯის მომრგვალებულ ნაწილებს შალითა უკეთესად მოადგება, თუ ის ნაოჭასხმული ან ნაკეცებიანი იქნება.

შალითის ნაკერები რომ არ გაიჭიმოს, ჩვეულებრივ ზონარს უყრიან ხოლმე. ეს ასე კეთდება: ქსოვილისაგან გამოსჭრიან ირიბ ნაწიბურს, შემდეგ მას ორმაგად მოკეცავენ, შიგნით გაუყრიან ზონარს და შალითის ნაპირებთან ერთად დალამბავენ.

ნაწიბურები შეიძლება ამობრუნებული ნაკერებით შეიცვალოს. ამისათვის ნაკერებს უკუღმა მხრიდან. როგორც ჩვეულებრივ. დააგვირისტებთ, გადმობრუნებულ ნაპირებს ჩაუჭრით, რომ ქსოვილის ნაპირები არ დაიჭიმოს და ქსოვილს გვირისტის ხაზიდან ნახევარი სანტიმეტრის დაშორებით გაკერავთ. შალითას გადმოაბრუნებთ და წაღმა პირზე ლამბის ხაზზე დააგვირისტებთ. ასეთი ნაკერები ზონარგაუყრელადაც მაგრად იჭერს ქსოვილს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

*კოსმეტიკა*

# წარბების მოვლა

წარბები მთავარ როლს ასრულებს თვალების დ ცვაში: იცავს მას მტვრისაგან, ქარისაგან და შუბლიდან ჩამონადენი ოფლისაგან. წარბები ალამაზებს სახეს და განსაკუთრებულ გამომეტყველებას აძლევს თვალებს.

სხვადასხვა შინაგანმა და გარეშე მიზეზებმა (შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება, კანის დაავადება, ასაკი; გარეშე ფაქტორები: მზის სხივები, ზღვის მარილიანი წყალი, ქარი, უხარისხო საღებავები) შეიძლება წარბებზე თმის ზრდა შეაჩეროს, შეცვალოს წარბების აგებულება და ფერი. ასე, მაგალითად, ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება იწვევს წარბებზე თმის განლევას, გათხელებას, ან სრულიად გაცვენას. არასასურველ შედეგს იძლევა საღებავების ბოროტად გამოყენება (წარბების ხშირი შეღებვა ურზოლით).

მკვებავი კრემის წასმა წარბებზე აუმჯობესებს თმის ზრდას და იცავს მას მზის სხივებისა და ქარისაგან.

გთავაზობთ მკვებავი კრემის ორ რეცეპტს:

1) სასაქმებელი ზეთი — 5,0 გრ და ატმის კურკის ზეთი — 10,0 გრ ერთმანეთს შეურიეთ და იხმარეთ.

2) სასაქმებელი ზეთი—8,0 გრ, თეთრი სანთელი — 5,0 გრ, ზეთი—5,0 გრ, ლანოლინი — 5,0 გრ ერთად შეაზავეთ. ეს შემადგენლობა განსაკუთრებით კარგია იხმაროთ წარბების შეღებვის შემდეგ.

ზოგჯერ წარბების ფორმის შეცვლის მიზნით, ქალები წარბებს იპარსავენ ან იწიწკნიან. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი ცდები ხშირად სასურველ შედეგს არ იძლევა იმის გამო, რომ მხედველობაში არაა მიღებული სახის ინდივიდუალური თავისებურებანი.

ლამაზი ფორმის მისაცემად წარბები უნდა დაივარცხნოთ პატარა ჯაგრისით ქვევიდან ზევით. წარბების შესაღებად უმჯობესია იხმაროთ სპეციალური ფანქარი, რომელიც ადვილად მოიბანება საპნითა და წყლით.

## ქუთუთოების მოვლა

ქუთუთოები ფარავს თვალის კაკალს და იცავს მას გარეგანი ფაქტორების (ქარის, მზის, მტვრის ნაწილაკების) მოქმედებისაგან. თვალის დაავადებანი და უხარისხო საღებავები იწვევს ქუთუთოების ანთებას და შეშუპებას. ქუთუთოები ყოველდღე უნდა მოიბანოთ წყლით, ანთებადი პროცესის დროს კი — ბორის მჟავა ხსნარით (1 ჩაის კოვზი ბორის მჟავა 1 ჩაის ჭიქა წყალზე). ქუთუთოების შეშუპებისა და ნაოჭების გაჩენისას იხმარეთ გვირილისა და ცაცხვის ნაყენის საფენები.

ქუთუთოების ანთებადი პროცესების დროს არ უნდა გაიკეთოთ ორთქლის აბაზანა ან სპერმაცეტის ნიღბები და არ იხმაროთ კანის ამქერცლავი საშუალებები. სასურველია ზაფხულში იხმაროთ მზისაგან დასაცავი სათვალეები.

ქუთუთოებზე უნდა წაისვათ მკვებავი კრემის თხელი ფენა. კრემის შეზელვა საჭირო არ არის, ვინაიდან ქუთუთოს კანი მოძრავია და ადვილად იჭიმება. კანის გასამაგრებლად და ნაოჭების შესამცირებლად საჭიროა სახის ვარჯიში.

## წამწამების მოვლა

წამწამები იცავს თვალებს უცხო ნაწილაკებისა და მტვრისაგან. წამწამების გამძლეობა დაახლოებით 150-200 დღეს უახლოვდება. შემდეგ ცვინდება და მის ადგილს იჭერს ახალი ბეწვები. ქუთუთოების ხშირი ანთება აფერხებს წამწამების ზრდას (თხელდება, იფიტება და ტყდება). ასევე ცუდ გავლენას ახდენს საღებავების, განსაკუთრებით კი ურზოლის ხმარება.

წამწამები უნდა მოიბანოთ ყოველდღე და წაისვათ ცხიმიანი ნარევი — ერთმანეთში არეული სასაქმებელი ზეთი 4,0 გრ და ვაზელინი 10,0 გრ.

**ექიმი კოსმეტოლოგი მ. დოლიძე.**

*კულინარია*

# კვერცხი

ქათმის კვერცხი თავისი სინოყივრით და გემოთი ერთ-ერთ საუკეთესო პროდუქტად ითვლება. ის შეიცავს სრულფასოვან ცილოვან ნივთიერებებს, ცხიმს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს (კალციუმს, **ფოსფორს, რკინას და სხვა), ვიტამინებს (A, B, D) და სხვა.**

კვერცხის საშუალო ქიმიური შემადგენლობა (უნაჭუჭოდ) ასეთია: წყალი — 73,67%, ცილა — 12,57%, ცხიმი — 12,2%, ნახშირწყალი — 0,67%, მინერალური ნივთიერებები — 1,07%.



საჭმელად გამოიყენება კვერცხის ცილაც და კვერცხის გულიც. ისინი თავის ქიმიური შემადგენლობით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კვერცხის უფრო სასარგებლო ნაწილი მისი გულია, მასში არის საკმაო რაოდენობით **ცხიმი და ვიტამინები (A, B, D) და** აგრეთვე ცხიმისმაგვარი ნივთიერებები — ლეციტინი, ქოლესტერინი და სხვა.

კვერცხის გულის ფერი (ღია ყვითლიდან მოწითალო ყვითელ ფერამდე) დამოკიდებულია საკვებზე, რომელსაც ფრინველი ღებულობს, კვერცხის დების სეზონზე (წლის დროზე) და სხვა. რაც უფრო მუქი ფერისაა კვერცხის გული, მით უფრო მეტ ვიტამინს და ცხიმს შეიცავს. თუ შინაურ ფრინველს ბნელ შენობაში შევამწყვდევთ და ერთგვაროვანი საკვებით ვკვებავთ, მაშინ მისი კვერცხის გული ღია ყვითელი ფერისა იქნება. ასეთი კვერცხი ღარიბია ვიტამინებითა და ცხიმით.

კვერცხის გულის ფერი არ არის დამოკიდებული კვერცხის ნაჭუჭის ფერზე. მუქი ფერის ნაჭუჭიან კვერცხს შეიძლება ღია ფერის გული ჰქონდეს და პირიქით — თეთრნაჭუჭიან კვერცხს — მუქი ყვითელი გული.

შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით კვერცხი არის: დ ი ე ტ უ რ ი (დადებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა), ა ხ ა ლ ი კ ვ ე რ ც ხ ი (დადებიდან 30 დღემდე შენახული), მ ა ც ი ვ რ ი ს კ ვ ე რ ც ხ ი (შენახული მაცივარში 30 დღეზე მეტ ხანს) და კ ი რ-ხ ს ნ ა რ ი ს კ ვ ე რ ც ხ ი (რომელიც ხანგრძლივად ინახება 0,13% კონცენტრაციის კირის ხსნარში.).

გარდა აღნიშნული კვერცხისა, ხმარებაშია: მ ე ლ ა ნ ჟ ი და კ ვ ე რ ც ხ ი ს ფ ხ ვ ნ ი ლ ი. მელანჟი წარმოადგენს ნაჭუჭიდან განთავისუფლებულ კვერცხს, რომლის ცილა და გული ერთმანეთშია არეული და გაყინული (40-50 გრამი მელანჟი უდრის ერთ კვერცხს).

ხმარების წინ მელანჟი უნდა გალღვეს

და გაითქვიფოს. თუ მელანჟი ქილაშია მოთავსებული. ზაფხულში ის ჰაერზე უნდა გალღვეს, ზამთარში კი წყალში, რომლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40–50°-ს იმისათვის, რომ ცილა არ აიჭრას; როცა მელანჟი ნახევრადთხიერ კონსისტენციას მიიღებს, ქილას თავი მოხადეთ, მელანჟი საცერში გაწურეთ, შემდეგ გათქვიფეთ და მაშინვე გამოიყენეთ.

გახსნილ ქილაში მელანჟის შენახვა არ შეიძლება, რადგან მელანჟი მალე ფუჭდება. სხვა მხრივ კი მელანჟი არაფრით არ განსხვავდება ნატურალური კვერცხისაგან.



კვერცხის ფხვნილი მიიღება კვერცხის გახმობა-გაშრობით (12-15 გრამი კვერცხის ფხვნილი უდრის 1 კვერცხს).

ხმარების წინ კვერცხის ფხვნილი საცერში უნდა გაიცრას, მცირე რაოდენობის წყალში ან რძეში გაისრისოს და შემდეგ თანდათანობით გაიძრას წყალში ან რძეში (ერთ ნაწილ კვერცხის ფხვნილზე აიღება 3,5 ნაწილი წყალი, რძე ან რძე-წყლიანი ნარევი). შემდეგ უნდა გაითქვიფოს, სანამ პატარ-პატარა გუნდები არ გაიქნება და არ მიიღება ერთგვაროვანი მასა. იხმარება ისევე, როგორც ათქვეფილი ნატურალური კვერცხი.

კვერცხის ფხვნილი თავლია ჭურჭელში მალე ფუჭდება, ამიტომ მისი შენახვა არ შეიძლება, ის მაშინვე უნდა გამოვიყენოთ.

კვერცხის ფხვნილს აქვს დიდი ჰიგროსკოპიულობა — ადვილად შეიწოვს სინოტივეს, ამიტომ უნდა ინახებოდეს მჭიდროდ თავდახურულ მინის ქილაში, გრილ, მშრალ და ბნელ ადგილას.

კვერცხის წონა 45 გრამიდან 60 გრამამდე მერყეობს, მისი წონა-სიდიდე დამოკიდებულია ფრინველის ჯიშზე, ასაკზე და სხვა.

კვერცხის სიახლის შესამოწმებლად გამოიყენება ოვოსკოპი, რომელიც ყველა მაღაზიაში აქვთ და მისი შემოწმებით გამოირკვევა კვერცხის ვარგისიანობა. კვერცხის გული და ცილა შეთქვეფილი არ უნდა იყოს.

გახრწნილი კვერცხი ხვედრით წონას იცვლის, თუ მას მოვათავსებთ წყალში, არ ჩაიძირება, ზევით ამოტივტივდება.

ახალ კვერცხს აქვს სქელი ლაბისებრი ცილა და დატენილი, თანაბრად შეღებილი გული. კვერცხის გულის ეს სისქე, ე. ი. სიმკვრივე, მაჩვენებელია მისი სიახლისა, ვინაიდან დიდხანს შენახვისას უპირველესად ხდება ცილის გათხევადება.

კვერცხი ცუდად იტანს ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას. 36 გრადუსზე და უფრო მაღალ ტემპერატურაზე იწყება ჩანასახის განვითარება, კვერცხის გულის ზედაპირზე წარმოიქმნება სისხლის ძარღვები რგოლების სახით. ასეთი კვერცხი საჭმელად არ ვარგა.

კვერცხის ნაჭუჭი ფოროვანია და მას შეუძლია გაატაროს სხვადასხვა მიკროორგანიზმები, ამიტომ საჭიროა კვერცხის სუფთად შენახვა.

უმი კვერცხი რომ მალე არ გაფუჭდეს, უნდა ინახებოდეს სუფთა, მშრალ, გრილ ადგილას და დაცული უნდა იქნეს მტვრისა და ცხარე სუნისაგან.

საჭმელად რეკომენდებულია ქათმის კვერცხი. მცურავი ფრინველის კვერცხი ძალიან ხშირად შეიცავს გადამდებ წენიან ბაქტერიებს.

კვერცხი ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ის წარმოადგენს ცომეულის მთავარ შემადგენელ ნაწილს, აკავშირებს დაკეპილ ხორცს.

კვერცხი უმეტეს შემთხვევაში ემატება ბოსტნეულის, ბურღულის და სხვა პროდუქტებისაგან გაკეთებულ კერძის შემადგენლობას, აგრეთვე გამოიყენება ცალკე, დამოუკიდებელი კერძის მოსამზადებლად. საჭმელში კვერცხის დამატებით იზრდება კერძის კალორიულობა, ყუათიანობა და უმჯობესდება საგემოვნო თვისებები.

მართალია, კვერცხი სრულფასოვანი პროდუქტია, მაგრამ ზედმეტად ჭამა კვერცხისა არ არის რეკომენდებული, ვინაიდან მას შეუძლია ცხიმით და ხოლესტერინით გადატვირთოს ღვიძლი და ღვიძლის სადინარები.



ვინაიდან კვერცხის გული დიდი რაოდენობით შეიცავს ხოლესტერინს და მისი სიჭარბე კი ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას, ამიტომ საშუალო ასაკისა და ხანში შესულმა პირებმა შეიძლება მიიღონ არა უმეტეს 4–5 კვერცხისა კვირაში.

ამავე მიზეზით, ხშირად კვერცხი შეზღუდულად გამოიყენება ზოგიერთი დაავადებების დროს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ექიმის რჩევა-დარიგება იმის შესახებ, თუ როგორი სახით და რა რაოდენობით იქნას კვერცხი მიღებული, ასევე უნდა მოვიქცეთ მცირე ასაკის ბავშვთა კვების დროსაც.

**თამარ სულაქველიძე**

# რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

თუ ფაიფურის ჩაიდანში ნესტის სუნს იგრძნობთ, გამორეცხეთ, კარგად გაამშრალეთ და ჩადეთ შიგ ერთი ნაჭერი შაქარი.

კარაქი დიდხანს გაძლებს, თუ მას გაახვევთ ძმრით გაჟღენთილ სუფთა ხელსაწმენდში და სახურავს დახურავთ. ქვევიდან კი ამოუდებთ ორ ნაჭერ შაქარს.

თევზიანი ჭურჭელი ჯერ კარგად უნდა გაწმინდოთ საშრობი ქაღალდით, მერე გადაავლოთ ცივი წყალი და მხოლოდ ამის შემდეგ გარეცხოთ მდუღარე წყლით— თევზის სუნი გაქრება.

თუ კონსერვის ქილა ვერ გახსენით, გადმოაპირქვავეთ და სარქველი მოათავსეთ თბილ წყალში.

ბოთლიდან საცობს ადვილად ამოაძრობთ, თუ ბოთლის ყელს ცხელ ჩვარს შემოახვევთ.

კვერცხის ცილა სწრაფად ითქვიფება, თუ ცოტაოდენ ლიმონის წვენს ჩაუმატებთ, ან დანის წვერით მარილს მოაყრით.

სინესტისა და მერქნის ჭიის მოსპობისათვის იატაკს წელიწადში ერთხელ მაინც მოუსვით სკიპიდარში დასველებული ტილო.

ახალ ტაფას ჯერ ცხიმი მოუსვით და გაავარვარეთ, შემდეგ კი მარილით გახეხეთ და გარეცხეთ.

ნიკელის ჭურჭელი იწმინდება სკიპიდარში დასველებული შალის ნაჭრით. ფაიფურის ჭურჭელი კი კარგად ირეცხება თბილი მარილ-წყლით (3 სუფრის კოვზი მარილი 1 ჩაის ჭიქა წყალზე).

საფუარიანი ცომი ხელებზე არ მიგეკრობათ, თუ ხელზე წაისვამთ რამდენიმე წვეთ საჭმლის ზეთს.

თხელი ცომი ადვილად გაიწევს, თუ საგორავზე, რომლითაც ცომს ათხელებთ დაახვევთ სუფთა თეთრ ნაჭერს. თუ ცომი ძალიან თხელია, მაშინ ზედ დააფარეთ პერგამენტის ქაღალდი და იმაზე გაუსვით საგორავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგული იუმორი

1.

— ჩემამდე რჩევისთვის იყავით ვინმესთან? — ჰკითხა ექიმმა ავადმყოფს.

— დიახ, ექიმო, ფარმაცევტთან.

— ფარმაცევტთან? მერე და რა გირჩიათ იმ სულელმა?

— მითხრა თქვენთან მოვსულიყავი.

2.

ქირურგი ვერნერი დაბნეული კაცი იყო. ერთხელ, როცა მეგობრებთან სადილობდა, ცხვრის დაჭრა სთხოვეს. ქირურგი სიამოვნებით დათანხმდა და დაჭრას შეუდგა. მან ცხვარს უკანა ფეხი მოაჭრა, შემდეგ დაბნეულად ამოიღო ბანდი და ჭრილობის შეხვევა დაიწყო, თან ამბობდა: ცოტაოდენი დასვენება, მოვლა და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

3.

— ახალგაზრდობისას მინდოდა მხატვარი გავმხდარიყავი, — ყვებოდა ექიმი.

— რატომღა გადაიფიქრეთ?

— ნახატში ყველა შეცდომა ჩანს, — უპასუხა ექიმმა, — მაშინ, როცა ექიმის შეცდომა რჩება მხოლოდ ექიმსა და ავადმყოფს შორის.

4.

ერთი ქალი ქმარს უჩიოდა სასამართლოში, ვეღარ მიტანსო.

— უნდა გაეყაროთ, — ურჩია ვექილმა.

— არაფრის დიდებით. მე ოცი წელი ვიტანჯე მის ხელში და ახლა თქვენ მისი გაბედნიერება გინდათ?! — უპასუხა ქალმა.

5.

ორი ახალგაზრდა სეირნობისას შეხვდა მოხუც ქალს, რომელსაც ორი ვირი მოჰყავდა.

— გამარჯობა, ვირების დედავ. — მიაძახეს ონავრებმა.

— გაგიმარჯოთ, შვილებო, — იყო პასუხი.

6.

ერთი ქალი წერილს წერდა მეგობარს. როცა შენიშნა, რომ უკან მჯდომი ცნობისმოყვარე მამაკაცი მის ნაწერს კითხულობდა, გაბრაზებულმა წერილში ჩასწერა:

„მეტს ვეღარ მოგწერთ, რადგან ბატონი N წერილში იყურება და ჩუმად კითხულობს".

— ო, ქალბატონო, მე წერილს არ ვკითხულობ! — წამოიძახა ცნობისმოყვარემ.

7.

ერთმა ახალგაზრდამ თავის ნაცნობს ჰკითხა:

— ვინ არის ეს პიროვნება, პირუტყვის გამომეტყველება რომ აქვს?

— ჩემი ძმაა, — მიუგო ნაცნობმა.

— ო, — დაბნეულად წამოიყვირა ახალგაზრდამ, — ბოდიში, თქვენი ძმა! რასაკვირველია, თქვენი ძმაა— ისე ძლიერ ჩამოგავთ!

8.

— რატომაა განასკვული შენი ცხვირსახოცი? — ჰკითხა მამამ შვილს.

— დედამ განასკვა, რომ ყუთში წერილის ჩაგდება არ დამვიწყებოდა.

— მერე, არ დაგავიწყდა?

— არა! მაგრამ დედას დაავიწყდა წერილის მოცემა.

9.

— პატივცემულო მასწავლებელო, მამამ მითხრა ჩვენ მაიმუნებისაგან წარმოვიშვითო, — თქვა მორისმა.

— გაჩუმდი მორის! — დაუყვირა მასწავლებელმა. — მე თქვენი ოჯახის ისტორია არ მაინტერესებს!

ფრანგულიდან თარგმნა **დ. შავგულიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო თემაზე

# იაპონელი ექიმის აღმოჩენა

იაპონელი **ექიმი კიკავა** დიდი ხანია მუშაობს პიგმენტაციის საკითხებზე. ქ. ოსაკაში ჩატარებული ცდების შედეგად მან დაასკვნა, რომ თმის ფერი პირველ რიგში დამოკიდებულია თმის შემცველ ლითონის მარილების რაოდენობაზე და სახეობაზე. დამწვარი თმის ანალიზის შედეგად მან დაამტკიცა, რომ თეთრი ან ნაცრისფერი თმა მდიდარი ყოფილა ნიკელით, ოქროსფერი თმა — ტიტანით, ქერა — მოლიბდენით. რაც შეეხება წაბლისფერ თმას, აქ მთავარ როლს თამაშობს სპილენძი, კობალტი და რკინა. ცხადია, ლითონის შემცველობის დოზა და სახეობა სხვადასხვა ადამიანის თმაში სხვადასხვაა. აქედან გამომდინარე, თმის ფერსაც სხვადასხვა ნიუანსები აქვს.



გარეკანის პირველ გვერდზე მწერალი ნინო ნაკაშიძე.

გარეკანის მეოთხე გვერდზე— მოდები. ჩეხური მოდების ჟურნალიდან.

რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-62 წ. ქაღალდის ზომა 60X92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.

შეკვეთის № 11 უე 03130

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".

Издательство ЦК КП Грузии.



# ოქროს ბურთი

(ხალხური ზღაპარი)

მეზობლად ცხოვრობდა ორი ოჯახი. ერთი — მდიდარი უშვილო ცოლ-ქმარი, მეორე კი — ძალიან ღარიბი. ღარიბ ცოლ-ქმარს ერთი ბავშვი ჰყავდათ და მთელ დღეებს სიხარულსა და სიცილში ატარებდნენ.

უშვილოები გაკვირვებული უყურებდნენ მათ და ამბობდნენ: ჩვენ ამოდენა სიმდიდრე გვაქვს და ვერ ვქეიფობთ, ეს საწყლები სულ მხიარულებაში არიან, ეგ როგორ არიო?

ერთხელაც იყო და, შეეკითხა ის უშვილო კაცი საწყალ კაცს: მე ამოდენა ქონება მაქვს და ვერ ვქეიფობ, შენ რას შოულობ ამდენს, რომ მუდამდღე მხიარულება გაქვსო?

საწყალმა კაცმა უპასუხა: მე და ჩემს ცოლს ერთი ოქროს ბურთი* გვაქვს და იმაზე ვატარებთ დროსაო.

ეს უშვილო კაცი დაინტერესდა, ამოდენა ცხოვრება მაქვს და ერთ ოქროს ბურთს მე კი ვერ ვიყიდიო?

მართლა იყიდა ოქროს ბურთი, მიიტანა სახლში, დადო მაგიდაზე.

გავიდა ხანი. ეს ოქროს ბურთი არც ტაშს უკრავს, არც თამაშობს, არც მხიარულობს. წინანდებურადაა მდიდრების ოჯახი მიყრუებული.

საწყალი კაცის ოჯახში კი ისევ თამაში და მხიარულებაა. შეხვდა მდიდარი ღარიბს და ისევ შეეკითხა:

— კაცო, ოქროს ბურთი მეც შევიძინე, მაგრამ ჩვენს სახლში თამაში და მხიარულება მაინც არ არისო.

საწყალმა კაცმა უპასუხა:

— შე სულელო, შენს ოქროს ბურთს რა აათამაშებს. აი, ჩემი ოქროს ბურთი ეს არისო, — ბავშვზე უჩვენა, — ჩვენ ტაშს ვუკრავთ, ის თამაშობს, ის ტაშს უკრავს, ჩვენ ვთამაშობთ, ეს არის ჩვენი მხიარულებაო...

ჩაწერა **თამარ ოქროშიძემ.**

*) „ოქროს ბურთი“ ხევსურეთში ვაჟის სიმბოლოა.







# ODÍVÁNÍ